# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 3 ივლისი 2002 №121 (1643) ფასი 50 თეთრი




# ღმერთები მოფრინდნენ!



რა ეხერხება ბრაზილიას და – ფეხბურთი. რა ეხერხება ბრაზილიას და – ზეიმი. თითქოს ორივე ამ უცნაური, ლამაზი და გიჟური ქვეყნისთვის მოუგონიათ



განო ოქროპირიძე
ბერლინიდან



*ვინც წინა კვირას ჭურში იჯდა, იქიდან ორშაბათს ამოვიდა და ტელევიზორს მიუჯდა, გერმანიის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონობაში ეჭვს ვერ შეიტანდა — ვერც გაამტყუნებდით. ორშაბათს შუადღისას რუდი ფიოლერი და მისი ბიჭები სამშობლოში დაბრუნდნენ, ფრანკფურტის აეროპორტში დიდებული დახვედრის მერე, ფეხბურთელები ავტობუსში ჩასხეს და ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, „რიომერ პლაც ზე" წაიყვანეს. იქ გერმანიის ნაკრებს ათი ათასობით ქომაგი ელოდა, ქალაქის ქუჩები გადაკეტილ-გადაჭედილი იყო. ფეხბურთელთა სამშობლოში დაბრუნებისა და დახვედრის ტელერეპორტაჟს ორი წამყვანი სახელმწიფო ტელევიზია აწარმოებდა, ყველაფერი ისე იყო, რომ კაცი მსოფლიოს თასსღა დაუწყებდა ძებნას...*

# გულების ჩემპიონები

## გერმანიას სჯეროდა: კანის ხელები ისევე უსაფრთხოა ჩვენი კარისთვის, როგორც პრეზერვატივი სექსისას

**„ბოდიში** ამერიკელებო, თქვენ ძალიან სიმპათიურნი ხართ, თუმცა თქვენს ბიჭებს, მიკი მაუსის, კოკა კოლასა და ჰამბურგერების ქვეყნიდან, დღეს უნდა გადავუაროთ" — წერდა აშშ-სთან მეოთხედფინალური მატჩის წინ „ბილდი".

ბოდიში, ინგლისელებო, არგენტინელებო, ფრანგებო, იტალიელებო, პორტუგალიელებო, მაგრამ ჩვენი ნაკრების თამაშის გაკრიტიკებას და შურს, გიჯობთ, თქვენს გუნდებს მიხედოთ — ეს შინაარსი გამოსჭვიოდა ბევრი გერმანული გაზეთის ფურცლებიდან ფინალისწინა დღეებში.

მე კი გავბედავ და ვიტყვი: ბოდიში გერმანელებო, მაგრამ არ მესმის, თქვენი ალტკინებისა და ნაკრების იმ პომპეზურად დახვედრისა, რომელიც ორშაბათს მოაწყვეთ. გერმანელებს რომ ბრაზილია დაემარცხებინათ, არ მგონია, მათ ზეიმში რამე შეცვლილიყო, ერთი ეგაა, ორშაბათს ფრანკფურტში მსოფლიოს თასი არ იყო, რომელიც იმ დროს იმ გუნდს მიჰქონდა სამშობლოში, ვინაც ყველაზე მეტად დაიმსახურა. სხვა მხრივ, გერმანიამ ვიცეჩემპიონობა ჩემპიონურად აღნიშნა.

ფრანკფურტში უხვად მოსჩქეფდა ლუდი, მათ შორის, უზარმაზარი კათხებით ფეხბურთელებისთვის. ასევე უხვად იყო სიხარულის ცრემლი, ეროვნული დროშები, ტრანსპარანტები წარწერებით: „თქვენ გმირები ხართ", „ჩვენი გულის ჩემპიონები", იყო სიმღერები: WE ARE THE CHAMPIONS და ES GIBT NUR EIN RUDI VOLLER (რუდი ფიოლერი მხოლოდ ერთია), აღარაფერს ვამბობ, იმ გამონათქვამებზე და დითირამბებზე, რასაც ქალაქის მერიის აივანზე გადმომდგარ ბუნდესნაკრების ფეხბურთელებს ეუბნებოდნენ. ერთი სიტყვით, თასი არ აუწევიათ გერმანელებს, თორემ ისე ყველაფერი საჩემპიონოდ აღნიშნეს.

ერთის მხრივ, ყველაფერი გასაგებია, ჩემპიონატის დაწყებამდე გერმანელები მხოლოდ იმედგაცრუებას ელოდნენ და მეოთხედფინალზეღა ოცნებობდნენ. ფიოლერის და მისი გუნდის მხოლოდ ფინალში იწამეს, თუმცა, როცა იწამეს, სწორედ მაშინ არ უნდა ეწამათ, რადგან მათ წინ აღარც საუდეთი იდგა, აღარც კამერუნი, პარაგვაი, აშშ თუ კორეა, მათი მეტოქე ბრაზილია გახლდათ. მთელი ჩემპიონატის მანძილზე გერმანული გაზეთები გაკვირით აღნიშნავდნენ, ჩვენების თამაში აღფრთოვანებას სულაც არ იწვევს, მაგრამ მთავარი ხომ შედეგიაო. თუმცა ვის ამარცხებდა მათი გუნდი, ისიც უდიდესი გაჭირვებით, ეგ კი მეტწილადავიწყდებოდათ.

ფინალის წინ მთელ გერმანიას ერთის სჯეროდა: საოცრების, იმ საოცრების, რომელიც მას მსოფლიოს საფეხბურთო მწვერვალზე აიყვანდა. გერმანული პრესა იოკოჰამაში გასამართ ფინალს 48 წლის წინანდელ ბერნის ფინალს ადარებდა. მაშინ გერმანელებმა დიდი საოცრება მოახდინეს, როცა გადამწყვეტ მატჩში ჩემპიონატის აშკარა ფავორიტი, უნგრეთის ბრწყინვალე ნაკრები დაამარცხეს და პირველად მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. მიუხედავად იმისა, რომ კვირას გერმანელთა გამარჯვებას, თავად გერმანელები საოცრებად ნათლავდნენ, მაინც სწამდათ, რომ სწორედ საოცრება განმეორდებოდა.

საოცრება მართლაც მოხდა, ოღონდ სხვა საოცრება: ევროპელებს ფეხბურთის ღმერთის საბედისწერო შეცდომამ წააგებინა. დიახ, ოლივერ კანს ხოტბა ხომ არც მანამდე აკლდა, მაგრამ ფინალის წინ ფეხბურთის ღმერთადაც მონათლეს.



რუდი ფიოლერი ხალხს ჩემპიონივით მიესალმა

საერთოდ, წარმოუდგენელია იმის კალმით აღწერა და გადმოცემა, რაც თამაშამდე ხდებოდა, განსაკუთრებით, სწორედ გერმანელთა მეკარის გარშემო. გაზეთებში ოლივერ კანის გაშლილი ხელის ორიგინალური ზომა იბეჭდებოდა, „ბილდის" საკვირაო გამოცემის ბოლო გვერდზე კანის ნიღაბი იყო, უბრალოდ უნდა ამოგეჭრა და გაგეკეთებინა. „ბილდი" ქომაგებს მოუწოდებდა, გამარჯვება თუ გვინდა, დღეს კანის ნიღბით უნდა უყუროთ ფინალსო, თან ჯარიმების, რონალდოს დრიბლინგის და ჩვენს კართან სხვა სახიფათო მომენტებისას, თქვენი ხელი გაზეთში დახატულ კანის ხელს დაადეთ, რითაც მეკარე იგრძნობს, რომ ქომაგები მის გვერდით არიანო.

„დღეს ყველანი კანი უნდა ვიყოთ" — წერდა „ბერლინერ კურიერი".

„კლოზე ბომბარდირი უნდა გახდეს, მას ამის ჩინებული შანსი აქვს, რადგან რონალდოს გოლის გატანა ძალიან გაუჭირდება, ჩვენ ხომ ოლი გვიცავს" — აღნიშნავდა „ბერლინერ მორგენპოსტი".

იმავე „ბილდმა" კი 100 მიზეზი ჩამოთვალა, რის გამოც გერმანელებს ბრაზილიელთა დამარცხება მართებდათ. ერთ-ერთი მიზეზი კი ეს იყო: „კანის ხელები ისევე უსაფრთხოა ჩვენი კარისთვის, როგორც პრეზერვატივი სექსისას".

გავაგრძელო? კი ბატონო! „მთავარია, ღმერთი წინ, შეტევაში დაგვეხმაროს, უკან დახმარება არ გვჭირდება, იქ ხომ კანი გვყავს" — ესეც „ბერლინერ კურიერის" ფრაზაა. ერთი სიტყვით, არავის აზრადაც არ მოსვლია და ვერავინ გათვალა ის, რომ შეიძლებოდა, თამაში სწორედ კანს წაეგო — მეკარეს, რომლის წინ ალმოჩენილ ფორვარდებს მუხლები უკანკალებთ და ეს ფინალში თავად „ფენომენად" მონათლულ რონალდოსაც შეემთხვა, როცა პირველ ტაიმში მეკარესთან ორჯერ პირისპირ გასულმა, ორჯერვე იჩქარა, ერთხელ კარს საკმაო მანძილით ააცილა, მეორედ კი მუხლები აშკარად აუკანკალდა.

ყოველივე ამის მერე, თავად განსაჯეთ, რამხელა ზეწოლის ქვეშ იყო მეკარე, რომელმაც მატჩის წინა დღეს ტელეინტერვიუში თქვა: „არ ვიცი, რატომ, მაგრამ წინათგრძნობა მკარნახობს, რომ ჩემპიონები ჩვენ გავხდებით!".

ოლი კანი გმირი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ტრაგიკული გმირი გახდა, სწორედ ასე მონათლა გერმანიამ ფინალის მერე. მიუხედავად ამისა, აქაური გაზეთები მაინცდამაინც არ აკრიტიკებენ, თუმცა მისთვის ძეგლის დადგმაზე აღარავინ ლაპარაკობს. არადა, ეს საკითხი კვირამდე იმაზე აქტუალური იყო, ვიდრე უნდა ყოფილიყო და ლამის უკვე შესაფერის ადგილსაც ეძებდნენ.

კანის შეცდომა თავდაპირველად მის ტრავმას დაბრალდა, მან თითი 52-ე წუთზე ჟილბერტო სილვასთან ორთაბრძოლისას დაიშავა. მატჩის არბიტრ პიერლუიჯი კოლინას უკითხავს კიდეც, თამაში თუ შეგიძლიაო და პასუხიც მიიღო: კი, გავაგრძელებ! 15 წუთში კი გოლიც გავიდა. იყო თუ არა, შეცდომა ტრავმის ბრალი, იმ ტრავმის, რომლის გამოც მეკარეს ექვსკვირიანი დასვენება მოუწევს? „არა, არავითარ შემთხვევაში, ჩემი შეცდომა ტრავმის ბრალი არ ყოფილა — ამბობს კანი — პირველად ვნანობ, მეკარე რომ გავხდი. ეს ყველაზე უმადური საქმეა. შვიდ მატჩში ერთი შეცდომა დავუშვი და ყველაფერი დავკარგე."

„არასდროს მინახავს, მეკარის ასეთი ფანტასტიკური თამაში მსოფლიოს ჩემპიონატზე. სამწუხაროა, შეცდომა რომ მოუვიდა, მაგრამ მე იმ შეცდომას მხოლოდ ერთ სახელს ვუწოდებ. ეს ბედი იყო — ამბობს ფრანც ბეკენბაუერი და დასძენს — 1986 წელს ტონი შუმახერმაც ბრწყინვალედ ითამაშა, მაგრამ ფინალში არგენტინასთან მანაც საბედისწერო შეცდომა დაუშვა, ოთხი წლის მერე კი ჩვენ ჩემპიონები გავხდით."

გაზეთში დაბეჭდილ თავჩაქინდრული მეკარის დიდ ფოტოსაც „კაიზერ ფრანცის" სიტყვები ამშვენებს: თავი მაღლა! 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატს ჩვენ მოვიგებთ!

დიტმარ ჰამანმა კი განაცხადა, იმ გოლში ოლის ბრალი საერთოდ არ მიუძღვის, პასუხი მე უნდა ვაგო, ბურთი რომ ასე სულელურად დავკარგეო. დავძინოთ, რომ გერმანელთა გამარჯვების შემთხვევაში, კანი ნაკრებიდან წასვლას აპირებდა, ახალი მოტივაციის პოვნა გამიჭირდებაო, უთქვამს ფინალის წინ ფიოლერისთვის. ახლა კი 2006 წლამდე აპირებს ეროვნულ გუნდში დარჩენას.

„ბილდის" მიერ ჩამოთვლილ ას მიზეზს დავუბრუნდეთ. ზოგიერთ მათგანში ირონია იგრძნობა. მაგალითად, გერმანია იმიტომ უნდა გახდეს ჩემპიონი, რომ სიხარულის ზღვაში ჰოლანდიელები ჩაახრჩოს, ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთსა და პორტუგალიაში დასასვენებლად წასულმა გერმანელებმა კი მეტი სიამოვნება იგრძნონ.



ოლივერ კანი კათხას ბურთზე იოლად მოერია

ეროვნული ბიბლიოთეკა



კანის ხელი



მიხაელ ბალაკს ხელში პფენინგიანი უჭირავს

სხვათა შორის, გერმანელთა და ჰოლანდიელთა საფეხბურთო მტრობაზე კი მსმენოდა, მაგრამ საქმე თუ ასე სერიოზულად იყო, მაინც ვერ წარმომედგინა. ჩემპიონატის დაწყებამდე გერმანიაში საგანგებოდ მაისურებიც კი გამოუშვეს წარწერით: მსოფლიოს ჩემპიონატი უჰოლანდიოდ. გერმანელები ფრიად გახარებულნი იყვნენ ამ ფაქტით და ირლანდიის ნაკრებში იფსვიჩელი მეტიუ ჰოლანდის ყოფნამ, ხუმრობის ხასიათზეც დააყენათ — ჰოლანდია მაინც მიდის ჩემპიონატზეო.

კიდევ რამდენიმე მიზეზს გეტყვით: ნაკრებზე უარისმთქმელები, შტეფან ეფენბერგიდან დაწყებული მეჰმეთ შოლით დამთავრებული, ბოლმით ხომ უნდა გასკდნენო — ერთი მიზეზი ესეცაა. ბილდელთა აზრით, კიდევ იმიტომ უნდა გამხდარიყო გერმანია ჩემპიონი, რომ პელეს ერექციასთან დაკავშირებული პრობლემა აწუხებს, ბეკენბაუერს კი არა, ჰოდა, უერექციო პელეს ბრაზილიამ როგორ უნდა გვაჯობოსო. მიზეზია ისიც, რომ ფეხბურთი ის თამაშია, როცა ბოლოს ყოველთვის გერმანელები იგებენ, თანაც ძლიერი (ამ შემთხვევაში ბრაზილია) ყოველთვის ვერ იმარჯვებს. თუმცა ფეხბურთი, რომ ის თამაში აღარ არის, რომელსაც ბოლოს გერმანელები იგებენ, ბოლო ხანს კარგად გამოჩნდა.

რა იქნებოდა, ფინალში რომ მიხაელ ბალაკი გვყოლოდაო? — კითხულობენ გერმანელები და პასუხსაც თავადვე პოულობენ. ბრაზილიელებს მეტი პრობლემა ექნებოდათ და ჩემპიონი ვინ იქნებოდა, ესეც საკითხავიაო. ამავე აზრზეა ფრანც ბეკენბაუერი, რომელიც იმასაც ამბობს — არა უშავს, ამჯერად ესეც წარმატებაა, 2006 წლისთვის კი ეს თაობა სპორტული კარიერის პიკზე იქნება და მაშინ ჩემპიონობა ხელიდან აღარ უნდა გავუშვათო.

ბეკენბაუერი კი ამბობს ამას, მაგრამ აბა, ფეხბურთის მეფე პელეს ჰკითხეთ. იგი, თავისი უცნაური პროგნოზებითაც გამორჩეულია, ჰოდა, „ბილდმაც" ფინალის წინ მცირე ინტერვიუ სთხოვა, რომელშიც პელემ განაცხადა: „მსოფლიოს ჩემპიონის ბედს რონალდო — კანის დუელი გადაწყვეტს და დარწმუნებული ვარ, ამ დუელში რონალდო გაიმარჯვებს. როცა მან პარიზში მუხლზე მეორე ოპერაცია გაიკეთა, ვუთხარი, რომ 1966 წელს მეც მაგ დღეში ვიყავი, ამიტომაც ყველა გაწბილებული მიყურებდა, თუმცა ოპონენტები 4 წლის მერე დავადუმე-მეთქი. ისიც ვუთხარი, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალიდან ოთხი წლის მერე შენც ისევე უნდა გააჩუმო-მეთქი. გუშინ კი რონალდო ჩემთან მოვიდა და მითხრა, რომ ჩემი სიტყვები ახსოვს. ჩვენს გუნდში ახლა ჩინებული განწყობაა და ეს მთლიანად ლუიშ ფელიპე სკოლარის დამსახურებაა. მან ყველაზე ძნელი და სწორი გადაწყვეტილება მაშინ მიიღო, როცა რომარიო ბრაზილიაში დატოვა. ამით გუნდი ერთ ოჯახად აქცია, რომარიო კი რაღაცას აურევდა, რონალდოსა და რივალდოს შორისაც კონფლიქტს ჩამოაგდებდა. ზოგადად ბრაზილიის ნაკრებზე კი მოგახსენებთ, რომ ჩემპიონობას ახლაც ვიმსახურებთ, მაგრამ რომ წარმოვიდგენ როგორი გუნდი გვეყოლება 2006 წელს, კიდევ უფრო ბედიერი ვხდები. ბრაზილია თავის ნამდვილ სახეს სწორედ გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატზე დაგანახვებთ."

ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც პელეს ნათქვამი ახდა რონალდო — კანთან დაკავშირებით. აი, 2006 წლის მოლოდინში, „ბილდი" უკვე დღეებს ითვლის და წერს, გერმანიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონობამდე 1468 დღე დარჩა, ჩემპიონატის დაწყებამდე კი 1438 დღეო.

საინტერესოა, ფიოლერსა და ბეკენბაუერს შორის გავლებული პარალელები. აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც ფიოლერი, 1984 წელს ბეკენბაუერიც დროებით და იძულებით დაინიშნა ნაკრების მწვრთნელად. ორი წლის მერე „კაიზერ ფრანცმაც" ვიცე-ჩემპიონის წოდება მოიპოვა, 4 წლის მერე კი ჩემპიონი გახდა. მაშინ 1974 წლის მერე 16 წელი იყო გასული. 1974 წელი კი იმიტომ ვახსენე, რომ მაშინ ბეკენბაუერი როგორც ფეხბურთელი გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. თუ შევადარებთ, ვნახავთ, რომ 2000 წელს გუნდის სათავეში მისულმა ფიოლერმა ნაკრებს ორ წელიწადში ვიცე-ჩემპიონობა მოუტანა, 2006 წელს კი ჩემპიონატი გერმანიაში იმართება, ხოლო რას ნიშნავს მასპინძლობა, წლევანდელ ჩემპიონატშიც თვალნათლივ გამოჩნდა. თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ 4 წლის მერე 16 წელი სრულდება, რაც რუდი ფიოლერმა მსოფლიო ფეხბურთის მწვერვალი, როგორც ფეხბურთელმა დაიპყრო.

ამიტომაც გერმანია ფიოლერისგან 4 წლის მერე მხოლოდ ჩემპიონობას ელის, მანამდე კი მადლობას უხდის ვიცე-ჩემპიონობისთვის. „ბილდი" წერს: „ვინ იფიქრებდა, სულ ორი-სამი კვირის წინაც კი, რომ ნაკრები აზიიდან ვიცე-ჩემპიონად დაგვიბრუნდებოდა? ამისთვის მხოლოდ ორ სიტყვა უნდა ვთქვათ: DANKE RUDI"

ბოლოს კი გეტყვით, რომ ქვეყნად ყველაფერს აქვს დასასრული და მათ შორის გაზეთ „ბილდის" მიერ ნაკრების წარმატების მთავარ შემოქმედ ერთ პფენინგიანის მაგიურ ძალასაც, რომელმაც ეროვნული გუნდი ფინალამდე მიიყვანა, იქ კი, როგორც ჩანს, ბრაზილიელებს უფრო ძლიერი თილისმა აღმოაჩნდათ. პფენინგიანი მონეტა ფინალში სათადარიგოთა სკამზე მოკალათებულ მიხაელ ბალაკს ეჭირა ხელში. შედეგად ბალაკმა წლეულს მეოთხე ვიცე-ტიტული მოიპოვა. მოგეხსენებათ, ბალაკის აწ უკვე ყოფილმა კლუბმა „ლევერკუზენმა" გერმანიის თასისა და ჩემპიონთა ლიგის ფინალები წააგო და ბუნდესლიგის ჩემპიონობაც ბოლო წამს დაკარგა.



1990 წელი. ლოთარ მათეუსმა და რუდი ფიოლერმა საჩემპიონო ყიჟინა დასცეს




მეოთხედ მსოფლიოს ჩემპიონობამდე 1468 დღე დარჩა



ოლივერ კანი: მსოფლიოს ჩემპიონობა მერჩივნა. შეცდომის დაშვება კი ნორმალური ამბავია. შეუძლებელია, ჩემპიონატის მანძილზე ერთხელაც არ შეცდე. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ მაინცდამაინც ფინალში შევცდი

# ოლივერ კანს სხვა ოქრო დარჩა

არც რონალდო და არც ვინმე სხვა — „ადიდასის ოქროს ბურთი" ოლივერ კანს გადასცეს ანუ ბუნდესნაკრების მეკარე, კაპიტანი და მართლაც ლიდერი მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ოლივერ კანი პირველი მეკარეა, ვისაც ეს პატივი ერგო. აქვე შეგახსენებთ, რომ შაბათს, ფინალის წინა დღეს ის „ლევ იაშინის პრიზითაც" დააჯილდოვეს.

რონალდოს და მიუნგ-ბო ჰონგს, შესაბამისად, ვერცხლის და ბრინჯაოს ბურთები არგუნეს.

გამოკითხვაში მესამე ადგილისთვის და ფინალურ მატჩებზე აკრედიტირებულმა ჟურნალისტებმა მიიღეს მონაწილეობა. მათ იმ ათ ფეხბურთელს შორის უნდა გაეკეთებინათ არჩევანი, რომლებიც ნომინანტებად ფიფას ტექნიკური კვლევის ჯგუფმა დაასახელა. თავად ჯილდო კი „ადიდასის" იმ ბურთის ასლს წარმოადგენს, რომლითაც 1962 წელს ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშობდნენ.

„ოქროს ბურთი" ახალი დამზადებულია, მაგრამ მასზე მსოფლიოს წინა ჩემპიონატთა საუკეთესო ფეხბურთელების სახელებიც არის ამოტვიფრული. ამგვარი დაჯილდოება 1982 წლიდან ეწყობა. ასე რომ, ოლივერ კანის გარდა მასზე ხუთი სხვა ფეხბურთელის სახელიცაა.

| 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი | ხმა | პროცენტი |
|---|---|---|
| ოლივერ კანი (გერმანია) | 147 | 25 |
| რონალდო (ბრაზილია) | 126 | 21 |
| მიუნგ-ბო ჰონგი (ს. კორეა) | 108 | 18 |
| რივალდო (ბრაზილია) | 93 | 16 |
| რონალდინიო (ბრაზილია) | 54 | 9 |
| ჰასან შაში (თურქეთი) | 26 | 4 |
| ელ-ჰაჯი დიუფი (სენეგალი) | 15 | 3 |
| რობერტო კარლოსი (ბრაზილია) | 12 | 2 |
| მიხაელ ბალაკი (გერმანია) | 6 | 1 |
| ფერნანდო იერო (ესპანეთი) | 5 | 1 |

| მსოფლიოს ჩემპიონატების საუკეთესო ფეხბურთელები | |
|---|---|
| 1982 ესპანეთი | პაოლო როსი (იტალია) |
| 1986 მექსიკა | დიეგო მარადონა (არგენტინა) |
| 1990 იტალია | სალვატორე სკილაჩი (იტალია) |
| 1994 აშშ | რომარიო (ბრაზილია) |
| 1998 საფრანგეთი | რონალდო (ბრაზილია) |

# გულშემატკივართა სიმპათიის პრიზი

## ფიფას საინტერნეტო გამოკითხვა

| ქვეყანა | ხმა | პროცენტი |
|---|---|---|
| ს. კორეა | 226 636 | 61 |
| თურქეთი | 70 300 | 19 |
| ბრაზილია | 32 002 | 8 |
| სენეგალი | 19 564 | 5 |
| ირლანდია | 10 071 | 2 |
| გერმანია | 7 046 | 1 |

# ფეირ პლეის პრიზი

ყველაზე სამართლიანად მოთამაშე გუნდის გამოსავლენად ფიფას გვარიანად რთული სისტემა აქვს. ანგარიშობენ ყვითელი და წითელი ბარათების რაოდენობას, ჯარიმებს, მოედნის გარეთ გუნდის ქცევასაც. ბოლოს ფორმულებს მოიშველიებენ და კოეფიციენტი გამოჰყავთ. ამ მუნდიალზე საუკეთესო კოეფიციენტი ბელგიის ნაკრებს აღმოაჩნდა და „ფეირ პლეის" პრიზიც შესაბამისად, მას გადაეცა.

| ფეირ პლეის ლაურეატები | |
|---|---|
| 1978 | არგენტინა |
| 1982 | ბრაზილია |
| 1986 | ბრაზილია |
| 1990 | ინგლისი |
| 1994 | ბრაზილია |
| 1998 | ინგლისი, საფრანგეთი |
| 2002 | ბელგია |

# მსოფლიოს ჩემპიონატის სტატისტიკა

## მეკარე

| ფეხბურთელი | ქვეყანა | მატჩი | გაშვებული გოლი | საშუალოდ მატჩში | აღებული პენალტი | აღებული საჯარიმო | აღებული კუთხური | მოგერიება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ომერ ჩატკიჩი | თურქეთი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ვენსან ენიეමა | ნიგერია | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 5 |
| ოლივერ კანი | გერმანია | 7 | 3 | 0.43 | 0 | 1 | 0 | 22 |
| მარკოსი | ბრაზილია | 7 | 4 | 0.57 | 0 | 1 | 1 | 21 |
| დევიდ სიმენი | ინგლისი | 5 | 3 | 0.6 | 0 | 1 | 0 | 18 |
| პაბლო კავალიერო | არგენტინა | 3 | 2 | 0.67 | 0 | 1 | 0 | 8 |
| შეი გივენი | ირლანდია | 4 | 3 | 0.75 | 0 | 0 | 0 | 14 |
| სეიგო ნარაზაკი | იაპონია | 4 | 3 | 0.75 | 0 | 0 | 1 | 8 |
| ვოონ-იაე ლი | ს. კორეა | 7 | 6 | 0.86 | 0 | 2 | 1 | 25 |
| რუშთუ რექბერი | თურქეთი | 7 | 6 | 0.86 | 0 | 2 | 1 | 34 |
| ბუკარ ალიუმი | კამერუნი | 3 | 3 | 1 | 0 | 3 | 0 | 11 |
| რადოსლავ მაიდანი | პოლონეთი | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 5 |
| იკერ კასილიასი | ესპანეთი | 5 | 5 | 1 | 1 | 1 | 1 | 12 |
| სტიპე პლეტიკოშა | ხორვატია | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 11 |
| ოსკარ პერესი | მექსიკა | 4 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 13 |
| ფაბიენ ბარტეზი | საფრანგეთი | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 0 | 12 |
| ტონი სილვა | სენეგალი | 5 | 6 | 1.2 | 0 | 3 | 0 | 17 |
| მაგნუს ჰედმანი | შვედეთი | 4 | 5 | 1.25 | 1 | 1 | 0 | 8 |
| თომას სორენსენი | დანია | 4 | 5 | 1.25 | 0 | 1 | 1 | 19 |
| ჯანლუიჯი ბუფონი | იტალია | 4 | 5 | 1.25 | 1 | 0 | 1 | 16 |
| ხოსე სევალიოსი | ეკვადორი | 3 | 4 | 1.33 | 0 | 2 | 0 | 10 |
| ვიტორ ბაია | პორტუგალია | 3 | 4 | 1.33 | 0 | 1 | 1 | 10 |
| რუსლან ნიგმატულინი | რუსეთი | 3 | 4 | 1.33 | 0 | 0 | 0 | 5 |
| ბრედ ფრიდელი | აშშ | 5 | 7 | 1.4 | 2 | 2 | 0 | 20 |
| იკე შორუნმუ | ნიგერია | 2 | 3 | 1.5 | 0 | 3 | 0 | 10 |
| ფაბიან კარინი | ურუგვაი | 3 | 5 | 1.67 | 0 | 1 | 0 | 9 |
| ანდრე არენდსე | ს. აფრიკა | 3 | 5 | 1.67 | 0 | 2 | 1 | 8 |
| ხოსე ლუის ჩილავერტი | პარაგვაი | 3 | 5 | 1.67 | 0 | 2 | 1 | 19 |
| ალი ბუმნიჟელი | ტუნისი | 3 | 5 | 1.67 | 0 | 3 | 1 | 13 |
| გერტ დე ფლიგერი | ბელგია | 4 | 7 | 1.75 | 0 | 0 | 0 | 9 |
| მარკო სიმეუნოვიჩი | სლოვენია | 2 | 4 | 2 | 0 | 0 | 0 | 9 |
| ერიკ ლონისი | კოსტა რიკა | 3 | 6 | 2 | 0 | 1 | 0 | 5 |
| რიკარდო ტავარელი | პარაგვაი | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 1 | 3 |
| ჯიან ჯინი | ჩინეთი | 3 | 9 | 3 | 0 | 1 | 1 | 12 |
| მლადენ დაბანოვიჩი | სლოვენია | 1 | 3 | 3 | 0 | 1 | 0 | 8 |
| ირჟი დუდეკი | პოლონეთი | 2 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 8 |
| მოჰამედ ალ-დეაია | საუდეთი | 3 | 12 | 4 | 0 | 1 | 1 | 14 |

## გუნდი შეტევაში

| ქვეყანა | ჩატარებული მატჩი | გოლი | საშუალოდ მატჩში | დარტყმა | კარში დარტყმა | პენალტი | კუთხური | საჯარიმო | თამაშგარე | გრძელი პასი | მოკლე პასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 7 | 18 | 2.57 | 93 | 54 | 2 | 34 | 17 | 26 | 2082 | 710 |
| გერმანია | 7 | 14 | 2 | 100 | 40 | 0 | 49 | 20 | 16 | 848 | 903 |
| ესპანეთი | 5 | 10 | 2 | 70 | 36 | 2 | 28 | 9 | 25 | 2014 | 708 |
| თურქეთი | 7 | 10 | 1.43 | 62 | 32 | 0 | 39 | 9 | 21 | 2247 | 846 |
| ს. კორეა | 7 | 8 | 1.14 | 89 | 44 | 0 | 53 | 8 | 12 | 2348 | 894 |
| სენეგალი | 5 | 7 | 1.4 | 54 | 23 | 1 | 22 | 3 | 21 | 1197 | 611 |
| აშშ | 5 | 7 | 1.4 | 54 | 30 | 0 | 21 | 7 | 14 | 1380 | 589 |
| ბელგია | 4 | 6 | 1.5 | 48 | 22 | 0 | 27 | 14 | 7 | 951 | 587 |
| პარაგვაი | 4 | 6 | 1.5 | 50 | 24 | 0 | 17 | 11 | 13 | 1061 | 528 |
| პორტუგალია | 3 | 6 | 2 | 32 | 16 | 0 | 12 | 4 | 7 | 874 | 370 |
| ირლანდია | 4 | 6 | 1.5 | 45 | 20 | 1 | 21 | 8 | 7 | 254 | 710 |
| ინგლისი | 5 | 6 | 1.2 | 52 | 24 | 1 | 20 | 5 | 11 | 223 | 713 |
| კოსტა რიკა | 3 | 5 | 1.67 | 43 | 18 | 0 | 19 | 3 | 16 | 943 | 355 |
| დანია | 4 | 5 | 1.25 | 29 | 15 | 1 | 19 | 1 | 9 | 386 | 469 |
| იაპონია | 4 | 5 | 1.25 | 37 | 17 | 0 | 20 | 8 | 4 | 095 | 646 |
| შვედეთი | 4 | 5 | 1.25 | 39 | 22 | 1 | 17 | 6 | 10 | 888 | 611 |
| ს. აფრიკა | 3 | 5 | 1.67 | 32 | 17 | 1 | 12 | 3 | 5 | 897 | 395 |
| იტალია | 4 | 5 | 1.25 | 48 | 26 | 0 | 25 | 16 | 20 | 823 | 572 |
| მექსიკა | 4 | 4 | 1 | 38 | 19 | 1 | 16 | 8 | 14 | 1450 | 702 |
| ურუგვაი | 3 | 4 | 1.33 | 34 | 18 | 1 | 19 | 10 | 6 | 826 | 315 |
| რუსეთი | 3 | 4 | 1.33 | 41 | 17 | 1 | 10 | 6 | 10 | 846 | 473 |
| პოლონეთი | 3 | 3 | 1 | 32 | 14 | 0 | 15 | 4 | 12 | 625 | 345 |
| არგენტინა | 3 | 2 | 0.67 | 45 | 18 | 0 | 33 | 9 | 15 | 971 | 461 |
| ეკვადორი | 3 | 2 | 0.67 | 25 | 13 | 0 | 15 | 2 | 6 | 995 | 498 |
| სლოვენია | 3 | 2 | 0.67 | 33 | 17 | 0 | 12 | 2 | 3 | 874 | 338 |
| ხორვატია | 3 | 2 | 0.67 | 28 | 16 | 0 | 23 | 7 | 11 | 712 | 366 |
| კამერუნი | 3 | 2 | 0.67 | 30 | 14 | 0 | 20 | 15 | 11 | 871 | 420 |
| ნიგერია | 3 | 1 | 0.33 | 31 | 11 | 0 | 11 | 6 | 7 | 727 | 440 |
| ტუნისი | 3 | 1 | 0.33 | 22 | 6 | 0 | 17 | 3 | 6 | 609 | 408 |
| ჩინეთი | 3 | 0 | 0 | 19 | 10 | 0 | 16 | 3 | 5 | 949 | 274 |
| საუდეთი | 3 | 0 | 0 | 26 | 10 | 0 | 4 | 5 | 8 | 938 | 461 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 0 | 42 | 26 | 0 | 24 | 4 | 9 | 1223 | 405 |

## გუნდი დაცვაში

| ქვეყანა | მატჩი | გაშვებული გოლი | საშუალოდ მატჩში | დაჯარიმება | ორთაბრძოლა | პასის ჩაჭრა |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 2 | 0.67 | 52 | 123 | 23 |
| კამერუნი | 3 | 3 | 1 | 55 | 118 | 35 |
| ხორვატია | 3 | 3 | 1 | 55 | 145 | 19 |
| საფრანგეთი | 3 | 3 | 1 | 49 | 129 | 16 |
| იაპონია | 4 | 3 | 0.75 | 99 | 189 | 44 |
| ნიგერია | 3 | 3 | 1 | 46 | 137 | 27 |
| ირლანდია | 4 | 3 | 0.75 | 67 | 137 | 25 |
| გერმანია | 7 | 3 | 0.43 | 133 | 338 | 46 |
| ინგლისი | 5 | 3 | 0.6 | 74 | 187 | 24 |
| ბრაზილია | 7 | 4 | 0.57 | 106 | 299 | 47 |
| რუსეთი | 3 | 4 | 1.33 | 64 | 130 | 23 |
| პორტუგალია | 3 | 4 | 1.33 | 54 | 102 | 17 |
| მექსიკა | 4 | 4 | 1 | 63 | 184 | 37 |
| ეკვადორი | 3 | 4 | 1.33 | 59 | 154 | 24 |
| დანია | 4 | 5 | 1.25 | 66 | 143 | 38 |
| იტალია | 4 | 5 | 1.25 | 85 | 238 | 41 |
| ს. აფრიკა | 3 | 5 | 1.67 | 59 | 131 | 17 |
| ესპანეთი | 5 | 5 | 1 | 74 | 214 | 38 |
| ურუგვაი | 3 | 5 | 1.67 | 57 | 123 | 32 |
| ტუნისი | 3 | 5 | 1.67 | 57 | 138 | 26 |
| შვედეთი | 4 | 5 | 1.25 | 70 | 200 | 37 |
| კოსტა რიკა | 3 | 6 | 2 | 48 | 144 | 33 |
| თურქეთი | 7 | 6 | 0.86 | 119 | 355 | 57 |
| ს. კორეა | 7 | 6 | 0.86 | 133 | 319 | 39 |
| სენეგალი | 5 | 6 | 1.2 | 101 | 236 | 31 |
| ბელგია | 4 | 7 | 1.75 | 84 | 174 | 29 |
| სლოვენია | 3 | 7 | 2.33 | 57 | 166 | 35 |
| პარაგვაი | 4 | 7 | 1.75 | 80 | 142 | 22 |
| პოლონეთი | 3 | 7 | 2.33 | 64 | 148 | 28 |
| აშშ | 5 | 7 | 1.4 | 90 | 217 | 34 |
| ჩინეთი | 3 | 9 | 3 | 41 | 135 | 26 |
| საუდეთი | 3 | 12 | 4 | 39 | 114 | 18 |

## გუნდური დისციპლინა

| ქვეყანა | მატჩი | ყვითელი | წითელი | იუხეშა | ეუხეშნენ |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 7 | 18 | 1 | 133 | 138 |
| ს. კორეა | 7 | 14 | 0 | 133 | 125 |
| თურქეთი | 7 | 19 | 2 | 119 | 115 |
| ბრაზილია | 7 | 7 | 1 | 106 | 113 |
| სენეგალი | 5 | 14 | 1 | 101 | 93 |
| იაპონია | 4 | 6 | 0 | 99 | 94 |
| აშშ | 5 | 14 | 0 | 90 | 84 |
| იტალია | 4 | 12 | 1 | 85 | 84 |
| ბელგია | 4 | 6 | 0 | 84 | 82 |
| პარაგვაი | 4 | 11 | 2 | 80 | 68 |
| ინგლისი | 5 | 6 | 0 | 74 | 79 |
| ესპანეთი | 5 | 7 | 0 | 74 | 100 |
| შვედეთი | 4 | 6 | 0 | 70 | 62 |
| ირლანდია | 4 | 4 | 0 | 67 | 67 |
| დანია | 4 | 9 | 0 | 66 | 55 |
| პოლონეთი | 3 | 9 | 0 | 64 | 42 |
| რუსეთი | 3 | 9 | 0 | 64 | 63 |
| მექსიკა | 4 | 8 | 1 | 63 | 67 |
| ეკვადორი | 3 | 9 | 0 | 59 | 44 |
| ს. აფრიკა | 3 | 10 | 0 | 59 | 42 |
| სლოვენია | 3 | 10 | 1 | 57 | 48 |
| ტუნისი | 3 | 8 | 0 | 57 | 48 |
| ურუგვაი | 3 | 10 | 0 | 57 | 46 |
| კამერუნი | 3 | 10 | 1 | 55 | 49 |
| ხორვატია | 3 | 3 | 1 | 55 | 64 |
| პორტუგალია | 3 | 8 | 2 | 54 | 62 |
| არგენტინა | 3 | 6 | 1 | 52 | 57 |
| საფრანგეთი | 3 | 3 | 1 | 49 | 65 |
| კოსტა რიკა | 3 | 6 | 0 | 48 | 30 |
| ნიგერია | 3 | 2 | 0 | 46 | 31 |
| ჩინეთი | 3 | 5 | 1 | 41 | 52 |
| საუდეთი | 3 | 3 | 0 | 39 | 53 |

**სხვა სტატისტიკური მონაცემები ხვალინდელ „სარბიელში" იხილეთ**

გუშინდელ „სარბიელში" უსწრაფესი გაძევებისა და ყველაზე უხვგოლიანი მატჩის თარიღები არასწორად დაიბეჭდა. ვაზუსტებთ:

**უსწრაფესი გაძევება**

ხოსე ბატისტა (ურუგვაი) — 56-ე წამი (შოტლანდიასთან, 1986)

**ყველაზე უხვგოლიანი მატჩი**

ავსტრია 7:5 შვეიცარია (1954)

## ფეხბურთელი დაცვაში

| ფეხბურთელი | ქვეყანა | მატჩი | წუთი | ბურთის წართმევა | ორთაბრძოლა | ჩაჭრა | იუხეშა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩონგ-გუგ სონგი | ს. კორეა | 7 | 687 | 57 | 31 | 5 | 6 |
| ტორსტენ ფრინგსი | გერმანია | 7 | 630 | 55 | 25 | 8 | 15 |
| დიტმარ ჰამანი | გერმანია | 6 | 540 | 52 | 27 | 4 | 19 |
| ომარ დაფი | სენეგალი | 5 | 468 | 51 | 25 | 5 | 14 |
| ჟილბერტო სილვა | ბრაზილია | 7 | 630 | 51 | 21 | 5 | 17 |
| ფათიჰ აკიელი | თურქეთი | 7 | 634 | 48 | 23 | 9 | 10 |
| ლუსიო | ბრაზილია | 7 | 630 | 46 | 20 | 4 | 7 |
| თუგაი ქერიმოღლუ | თურქეთი | 7 | 621 | 44 | 18 | 6 | 11 |
| თომას ლინკე | გერმანია | 7 | 630 | 43 | 14 | 6 | 5 |
| ეშლი კოული | ინგლისი | 5 | 433 | 41 | 25 | 8 | 7 |
| ემრე ბელოზოღლუ | თურქეთი | 6 | 461 | 40 | 20 | 6 | 9 |
| ერგუნ პენბე | თურქეთი | 5 | 454 | 39 | 20 | 5 | 7 |
| კრისტოფ მეცელდერი | გერმანია | 7 | 599 | 38 | 8 | 2 | 15 |
| დამიანო ტომაზი | იტალია | 4 | 387 | 37 | 17 | 7 | 10 |
| კლაუდიო რეინა | აშშ | 4 | 360 | 36 | 20 | 6 | 10 |
| ტონი სანე | აშშ | 5 | 450 | 36 | 14 | 9 | 4 |
| ფერდინანდ კოლი | სენეგალი | 5 | 440 | 36 | 16 | 1 | 9 |
| ტაე-იანგ კიმი | ს. კორეა | 7 | 556 | 36 | 13 | 3 | 16 |
| რობერტო კარლოსი | ბრაზილია | 6 | 540 | 35 | 12 | 10 | 9 |
| იუნგ-პიო ლი | ს. კორეა | 5 | 507 | 35 | 21 | 4 | 12 |
| პაოლო მალდინი | იტალია | 4 | 387 | 34 | 11 | 1 | 9 |
| ჟელკო მილინოვიჩი | სლოვენია | 3 | 270 | 33 | 12 | 4 | 3 |
| სანგ-ჩულ იოო | ს. კორეა | 7 | 574 | 32 | 16 | 4 | 5 |
| ილდირაი ბაშთურქი | თურქეთი | 7 | 567 | 32 | 13 | 7 | 6 |
| კარლეს პუიოლი | ესპანეთი | 4 | 420 | 32 | 14 | 4 | 5 |
| კაფუ | ბრაზილია | 7 | 630 | 31 | 14 | 4 | 19 |
| ჯი-სუნგ პარკი | ს. კორეა | 7 | 634 | 31 | 15 | 3 | 6 |
| სალვადორ კარმონა | მექსიკა | 4 | 360 | 29 | 15 | 2 | 11 |
| ჟოზეფ იობო | ნიგერია | 3 | 270 | 29 | 12 | 6 | 5 |
| ფრენკი ჰეიდუკი | აშშ | 4 | 334 | 28 | 14 | 3 | 8 |
| ჯანლუკა ძამბროტა | იტალია | 4 | 341 | 28 | 15 | 4 | 7 |
| მიხაელ ბალაკი | გერმანია | 6 | 540 | 28 | 14 | 6 | 14 |
| კრისტიანო ძანეტი | იტალია | 3 | 297 | 28 | 8 | 7 | 10 |
| ისააკ ოკორონკვო | ნიგერია | 3 | 270 | 28 | 9 | 4 | 2 |
| ედმილსონი | ბრაზილია | 6 | 540 | 28 | 11 | 6 | 4 |
| იუნიჩი ინამოტო | იაპონია | 4 | 264 | 28 | 10 | 8 | 10 |
| დავალა უმითი | თურქეთი | 7 | 520 | 28 | 12 | 8 | 8 |
| ხერარდო ტორადო | მექსიკა | 4 | 347 | 27 | 12 | 6 | 8 |
| ჯინ-ჩეულ ჩოი | ს. კორეა | 6 | 562 | 27 | 7 | 3 | 15 |
| მანუელ ვიდრიო | მექსიკა | 4 | 315 | 27 | 12 | 6 | 6 |
| იოჰან მიალბი | შვედეთი | 4 | 374 | 27 | 11 | 3 | 3 |
| ტობიას ლინდეროთი | შვედეთი | 4 | 374 | 27 | 13 | 4 | 10 |
| ოლოფ მელბერგი | შვედეთი | 4 | 374 | 27 | 18 | 5 | 1 |
| ივან ელგერა | ესპანეთი | 5 | 364 | 27 | 12 | 2 | 11 |
| დარიო როდრიგესი | ურუგვაი | 3 | 247 | 26 | 10 | 6 | 9 |
| ვიქტორ ონოპკო | რუსეთი | 3 | 270 | 26 | 9 | 7 | 2 |
| ნიკლას ალექსანდერსონი | შვედეთი | 4 | 345 | 26 | 11 | 9 | 6 |
| სტიეპან ტომაში | ხორვატია | 3 | 270 | 25 | 6 | 14 | 7 |
| კაზუიუკი ტოდა | იაპონია | 4 | 360 | 25 | 8 | 7 | 16 |
| დენი მილსი | ინგლისი | 5 | 450 | 25 | 14 | 3 | 8 |
| მაურისიო სოლისი | კოსტა რიკა | 3 | 244 | 24 | 9 | 5 | 4 |
| ხუი იუნლონგი | ჩინეთი | 3 | 270 | 24 | 13 | 4 | 7 |
| როკე ჟუნიორი | ბრაზილია | 6 | 540 | 24 | 8 | 3 | 17 |
| ივ ვანდერეგე | ბელგია | 4 | 360 | 23 | 10 | 3 | 15 |
| ალფაი ოზალანი | თურქეთი | 5 | 449 | 23 | 8 | 3 | 9 |
| ლი ვეიფენგი | ჩინეთი | 3 | 270 | 23 | 6 | 2 | 5 |
| იოსიპ სიმუნიჩი | ხორვატია | 3 | 270 | 23 | 13 | 2 | 4 |
| დანიელ ვან ბუიტენი | ბელგია | 4 | 360 | 23 | 7 | 6 | 8 |
| კლებერ კალა | ეკვადორი | 3 | 264 | 22 | 10 | 5 | 17 |
| ნამ-ილ კიმი | ს. კორეა | 5 | 368 | 22 | 15 | 3 | 14 |
| რაულ გუერონი | ეკვადორი | 3 | 270 | 22 | 10 | 4 | 11 |
| ჯონ ობრაიენი | აშშ | 5 | 450 | 22 | 14 | 3 | 8 |
| ბიულენთ ქორქმაზი | თურქეთი | 6 | 519 | 22 | 10 | 1 | 9 |
| ჯონი ნოვაკი | სლოვენია | 3 | 256 | 22 | 8 | 4 | 5 |
| სტიგ ტოფტინგი | დანია | 4 | 315 | 22 | 14 | 6 | 5 |
| პოლ სქოულზი | ინგლისი | 5 | 408 | 21 | 9 | 1 | 10 |
| რობერტო აკუნია | პარაგვაი | 4 | 359 | 21 | 9 | 5 | 10 |
| შინჯი ონო | იაპონია | 4 | 317 | 21 | 10 | 6 | 11 |
| მაკბეტ სიბაია | ს. აფრიკა | 3 | 270 | 21 | 11 | 3 | 8 |
| ლამინ დიატა | სენეგალი | 5 | 468 | 21 | 9 | 7 | 4 |
| რუბენ ბარახა | ესპანეთი | 4 | 420 | 21 | 11 | 2 | 9 |
| ცუნეიასუ მიჩმოტო | იაპონია | 4 | 290 | 21 | 2 | 2 | 4 |
| ბიქსენტ ლიზარაზუ | საფრანგეთი | 3 | 270 | 21 | 13 | 3 | 4 |
| კარსტენ რამელო | გერმანია | 5 | 354 | 21 | 13 | 2 | 6 |
| ანდრეას იაკობსონი | შვედეთი | 4 | 374 | 21 | 8 | 3 | 4 |
| სტივ სტონტონი | ირლანდია | 4 | 315 | 20 | 6 | 6 | 2 |
| ულისეს დე ლა კრუზი | ეკვადორი | 3 | 270 | 20 | 10 | 2 | 3 |
| ნიკი ბათი | ინგლისი | 4 | 360 | 20 | 9 | 3 | 12 |
| პაპე ბუბა დიოპი | სენეგალი | 5 | 468 | 20 | 7 | 3 | 10 |
| სალიფ დიაო | სენეგალი | 3 | 263 | 20 | 7 | 3 | 9 |
| სტივ ფინანი | ირლანდია | 4 | 345 | 20 | 9 | 3 | 6 |
| ვალტერ სენტენო | კოსტა რიკა | 3 | 245 | 20 | 10 | 4 | 5 |
| ბარტ გოორი | ბელგია | 4 | 360 | 20 | 7 | 2 | 8 |
| პაპე მალიკ დიოპი | სენეგალი | 5 | 429 | 20 | 7 | 3 | 4 |
| ფაბიო კანავარო | იტალია | 3 | 270 | 20 | 6 | 4 | 3 |
| კარლოს გამარა | პარაგვაი | 4 | 360 | 20 | 7 | 1 | 8 |
| პაოლო მონტერო | ურუგვაი | 3 | 270 | 19 | 7 | 6 | 4 |
| ჟორჟე კოშტა | პორტუგალია | 3 | 252 | 19 | 12 | 2 | 4 |
| ლუის მარინი | კოსტა რიკა | 3 | 270 | 19 | 8 | 4 | 4 |
| პატრიკ ვიეირა | საფრანგეთი | 3 | 250 | 19 | 9 | 2 | 6 |
| რეჯა თუქარი | საუდეთი | 3 | 270 | 19 | 7 | 4 | 9 |
| ხულიო სეზარ კასერესი | პარაგვაი | 4 | 360 | 19 | 5 | 2 | 7 |
| მეტ ჰოლანდი | ირლანდია | 4 | 390 | 19 | 8 | 2 | 7 |
| ბერნდ შნაიდერი | გერმანია | 7 | 580 | 19 | 9 | 6 | 8 |
| სოლ კემპბელი | ინგლისი | 5 | 450 | 19 | 6 | 2 | 8 |
| იენს იერემისი | გერმანია | 7 | 261 | 18 | 7 | 5 | 3 |
| მარტინ ლაურსენი | დანია | 4 | 360 | 18 | 7 | 3 | 6 |
| ეულ-იონგ ლი | ს. კორეა | 4 | 333 | 18 | 9 | 2 | 8 |
| გუსტავო ვარელა | ურუგვაი | 3 | 270 | 18 | 10 | 6 | 4 |
| ჟუნინიო პაულისტა | ბრაზილია | 5 | 262 | 18 | 8 | 3 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

## ერთი სურათი, ანუ ეპიზოდი პირველი მასივის მესამე მიკრორაიონის „ა“ პლატოს მეხუთე კორპუსის მეშვიდე სადარბაზოს „ბ“ შესასვლელის 37-ე ბინის მიშენებული ლოჯის წინ მდებარე მაგიდიდან

თბილისი. პირველი მასივის მესამე მიკრორაიონის „ა“ პლატოს მეხუთე კორპუსის მეშვიდე სადარბაზოს „ბ“ შესასვლელის 37-ე ბინის მიშენებული ლოჯის წინ მდებარე მაგიდა და სკამები. მაგიდაზე აწყვია პივა და თევზი. მაგიდას გარშემო უსხედან გურამა, შოთა, შოთას ბიძაშვილი მეხუთე სართულიდან, ყოფილი პოლიციელი გოჩა და ყოფილი ჯიბის ქურდი გოჩა, ქორქმაზაშვილების სიძე, პროფილაქტიკის ბიძინა და მეხუთე სამშენებლო სამმართველოს მეოთხე განყოფილების უფროსის მოადგილე წყალმომარაგების დარგში, ოქრო კაცი გია ანზოროვიჩი. მაგიდის თავში კი ის არის, ენგელბერტ (ენგო) პონტელავა, მეზობლებისთვის ეფესა.

***გია ანზოროვიჩი:*** დაიცა, რა, მაგას მაჭმევთ, ტო, მაგეების მეტი რა ვიცი. მე ხომ იცი, ეგეთებს თვალდახუჭული ვხვდები.

***ენგო:*** ვა, ტო, მერე გაგეხილა თვალები და ნახავდი, რო აჯობა.

***პროფილაქტიკის ბიძინა:*** დაიცა, რა მართლა. მე ხო ვუყურე, არა! გაატარა, ტო, ნალდად გაატარა, აბა, ეგეთ გოლებს გაუშვებდა?

***ენგო:*** გოლი გოლია, ძმაო, ეგეთებიც გადის და ისეთებიც. რა, არ შეიძლება ეგეთი გოლი გავიდეს?

***გურამა:*** ახლა თქვენ ნუ გაახურეთ. იმ ხალხს თავისი საქმე აქვს და ისე აკეთებს, როგორც სჭირდება. მაყუთის ამბავია. აწყობდათ, რომ ვილაცას ვილაცისთვის მოეგო და გააკეთეს. ეგრეა ეს ცხოვრება. მე როგორ მოვაწყვე ბიჭი უმაღლესში? შენ, ანზორიჩ, როგორ მოაწყვე გოგო ინსტიტუტში? შენ, ჯიგარ, როგორ მოაწყვე ნანა აფთიაქში? შენ, შოთა, როგორ მოაწყვე ბიძაშვილი სამინისტროში? ჰოდა, იმათი რა გიკვირთ. რა, იმ ზიდანს არ უნდა ბიჭის ინსტიტუტში მოწყობა? იმ რაულს არ უნდა ძმის მადრიდის სამმართველოში კაი ადგილზე დასმა? იმ ტოტის არ უნდა მამიდაშვილისთვის კაი ქორწილის გადახდა? ეგრეა, ტო, ეგრე...

***ენგო:*** ნუ გამაგიჟებ, ტო, აბა 4-4-2 და 4-3-3?

***გოჩა და გოჩა:*** ეეე, მიდი რა. საფრანგეთმა სენეგალს მისცა, დანიამ ინგლისს მისცა, არგენტინამ ინგლისს მისცა, მერე ინგლისმა ბრაზილიას მისცა, მერე საუდის არაბეთმა გერმანიას მისცა, მერე სენეგალმა თურქეთს მისცა, მერე...

***ენგო:*** სენეგალმა მისცა, ტო თურქეთს? მიცემა რო ყოფილიყო ძირითად დროში მისცემდა, რალა დამატებითში...

***გოჩა და გოჩა:*** ეეეეეეე!

***შოთას ბიძაშვილი:*** ეგ იმიტომ, ძმაო, რო... აი, ჩემთან იმ კორპუსელი ვახო მოვიდა და მითხრა...

***გურამა:*** დაიცა, გენაცვალე! აი, შენ ბიჭი რომ უმაღლესში მოაწყვე, მაყუთი ხო გადახდილი გქონდა, მაგრამ გამოცდაზე მაინც გავიდა. ეგრეა ეგეც, ტო, რა ვერ გაიგე? აბა, ხო არ იტყვიან დავაი, შენ გადი პოლუფინალში და თამაში გვეზარებაო.

***ენგო:*** მაშ, პადსებია?

***შოთა:*** ფინალიც ჩაწყობილი იყო.

***ენგო:*** აუუუ!

***შოთა:*** რა უუუ, ტო, ტელევიზორშიც თქვა იმ ტიპმა... აი, იმან... აი...

***ენგო:*** რა თქვა, ტო, დავჭრი.

***გოჩა და გოჩა:*** ბიჭო, ეფეს, შენ სუ გადაირიე იმ იაპონიაში? რას გვაბოლებ? არ იცი როგორ არის? აი, ბიძინასთან პროფილაქტიკაში რო...

***ენგო:*** რა პროფილაქტიკა! პროფილაქტიკა და მსოფლიოს ჩემპიონატი გერევათ, ტო?

***გოჩა და გოჩა:*** ეეეეე!

***გურამა:*** ეხლა მისმინეთ! ძმაო, ადამიანი ყველგან ადამიანია. ეფესა, ეხლა, იაპონიაში იყო, პეკინის ქუჩებში გაიარ-გამოიარა, სემირამიდას დაკიდული ტაძარი ნახა და დაიბნა. რაც ბიძინას პროფილაქტიკაში ხდება, პა ბალშომუ, იგივე ხდება მსოფლიოს ჩემპიონატზე. კაცი კაცია, მაყუთი ყველგან იჭრება, თავის წილ პივას ყველგან სვამენ.

***ენგო:*** აბა, ზონური დაცვა და პრესინგი?

***გურამა:*** ეხლა, როგორ არის იცი? აი, ბიჭი უმაღლესში ხო მოაწყვე? ჰოდა...

***გია ანზოროვიჩი:*** ხარაშო, ბიჭებო, ეგენი თავის გზას თვითონ იპოვნიან, ჩვენ ჩვენი წილი ვიკითხოთ, მოდი, ეხლა ამ პივით ყველა იმ კაცს გაუმარჯოს, ოჯახი რომ არ უყვარს.

**შემდეგი სცენა**

ენგო ავიასალაროსთან დგას და მოლარეს იაპონიის ბილეთს თხოვს. მოლარე პასუხობს, რომ მისცემს იმ შემთხვევაში თუ მისი მამიდაშვილის იაპონელი ქმრისთვის სამ ბანკა ტყემალს გაიყოლებს.

***ჩაიწერა პაპუნა კედიამ***

**მიმოხილვა დაწერილია 200- ლარიანი ქრთამის საფასურად**



აველანჟი სკოლარის: ლუიშ, შვილო, ნუ გეშინია, ბლატერს პრეზიდენტობა თქვენი ჩემპიონობის ამბავში მივეცი



კოლინა კანს: ოლი, ძმაო, ხომ იცი, ჟოაო სიყვარულოვიჩს ჩემს დირექტორთან, ბლატერთან ბლატი ქონდა, თორემ მაგით როგორ მოვაგებინებდი



„როიტერის“ წესებით, რუდი ფიოლერს ფინალში მიხაელ ბალაკის იმედი ექნებოდა . . .

# რედფორდის ხუთი მოსაზრება

*ქვემოთ, სააგენტო „როიტერის“ სპორტული რედაქტორის, პოლ რედფორდის მოსაზრებებს გთავაზობთ. მოსაზრებები მსოფლიოს ჩემპიონატს ეხება, იქ ნანახისა და შემჩნეულის ანალიზის შედეგს წარმოადგენს. ბატონი რედფორდი ფიქრობს, რომ შეჯიბრებამ, რომლის ჯგუფურ ეტაპზე გოლები პანტა-პუნტით გადიოდა, მეოთხედფინალიდან მოყოლებული კი ექვს შეხვედრაში მხოლოდ შვიდჯერ ვიხილეთ, გარკვეული სურვილები გააჩინა და თუ გვინდა, რომ ახალ საუკუნეში ფეხბურთი ძველებურად პოპულარული იყოს, შესაძლოა, რალაცეების შეცვლაც კი იყოს მიზანშეწონილი. კერძოდ:*

**1. გავაჩეროთ საათი**

ანუ კალათბურთისა და ჰოკეის მსგავსად, თამაშის გაჩერებასთან ერთად საათიც გაჩერდეს. როგორც ახალდამთავრებული ჩემპიონატის სტატისტიკამ გვაჩვენა, გუნდები 90-დან მხოლოდ 42-63 წუთის განმავლობაში თამაშობენ. დანარჩენი პაუზაა. შესაბამისად, საათის გაჩერება დროის მოგებასა და უეჭველად მეტ გოლსაც მოგვცემს.

**2. ვუყუროთ ვიდეოს**

იქნებ ფიფა და მისი პრეზიდენტი ზეპ ბლატერი გაწყრნენ კიდეც, მაგრამ ჩვენი აზრით, ცოტა სასაცილოა, როდესაც მთელ დედამიწაზე მილიონობით ადამიანი ტელეეკრანზე უცქერს თამაშს და მომენტის მრავალგზის გამეორების შემდეგ ზუსტად იცის, გოლი სამართლიანად გავიდა თუ არა, ამ დროს კი ერთადერთი, ვისაც შეფასების საშუალება არ აქვს და არ იცის, რა მოხდა, მსაჯია. ამ ჩემპიონატზე თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ერთმა არასწორმა შეფასებამ, ერთმა მცდარად ჩასტვენილმა, შეიძლება, ოთხი წლის შრომა წყალში ჩაყაროს. თუ არ გჯერათ, იტალიელებს და ესპანელებს ჰკითხეთ. სადავო ეპიზოდების სიხშირე კი ნუ შეგვაშინებს, ასეთი რამ თამაშში, დიდი-დიდი ორჯერ მოხდეს.

**3. არ გვინდა პენალტების სერია**

ყოველი ჩემპიონატის შემდეგ ამა თუ იმ ქვეყნის ესა თუ ის ფეხბურთელი თავს ერის წინაშე დამნაშავედ გრძნობს. ამიტომ პენალტების სერიას რაიმე ჯგუფური მოქმედება სჯობს. მაგალითად, ხუთი კუთხური, რომლის დროსაც ჩამომწოდებელი გუნდის ხუთმა ფეხბურთელმა მეტოქის მეკარესა და ორ მცველს 10 წამში უნდა გაუტანოს გოლი.

**4. ნულარ დავსჯით ყვითლებისთვის**

მიხაელ ბალაკმა ფინალი გამოტოვა. იგივე ბედი 1994 წელს ალესანდრო კოსტაკურტას, 1990 წელს კი კლაუდიო კანიჯას ერგოთ. ამიტომ, სჯობს, ყვითელი ბარათის გამო ფეხბურთელი იმ შეხვედრაში დაისაჯოს, ვიდრე შემდგომში. შეიძლება, 10-წუთიანი გაძევების შემოღებაც.

**5. გავაუქმოთ ოქროს გოლი**

ის ფეხბურთელებს ზედმეტი სიფრთხილისკენ უბიძგებს. დამატებითი დრო ბოლომდე უნდა მივიყვანოთ და ჩამორჩენილ გუნდს მდგომარეობის გამოსწორების საშუალება მივცეთ.

**ბაკუნა კედია**



. . . ხოაკინი კი პენალტს არ გააცუდებდა



ქირავდება აგარაკი კოჯორში

წაიყვანეთ ბავშვები,
უკეთეს ადგილს სად ნახავთ

ფასი არ შეგაშინებთ

ტ: 899 91-66-11; 29-35-80 (საღამოს)


REUTERS

ზეპ ბლატერმა იაპონიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი შინუკირო ონაკო (მარცხნივ) და ჩანგ-მონგ იონი ამოიყენადა

# ზეპ ბლატერმა, ორიო

**პირველი** თანამასპინძლიანი მსოფლიოს ჩემპიონატიც ჩამთავრდა და მისი ავ-კარგიანობის შეფასების დროც დადგა. მენეჯმენტე მუნდიალს, გეხსომებათ, ბევრნი წინასწარ ეჭვით, ათვალწუნებით უცქერდნენ. არ სჯეროდათ, რომ ამომავალი მზის ქვეყნებში გიგანტი საფეხბურთო განწყობა გაილაღებდა. იმასაც ჩიოდნენ, ამ ორ მეზობელ ქვეყანას შორის გვარიანი მანძილიაო.

თუმცა ეს არაფერი, შეიძლება ითქვას, მუნდიალს შესანიშნავი მასპინძლები ჰყავდა, ისეთები, როგორიც საჭირო იყო და რომლებმაც ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი მოხიბლეს და სამომავლო მუნდიალების ორმასპინძლიანობის სიკეთეშიც დაარწმუნეს: „კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ ორი მასპინძელი არცთუ ურიგო სიახლეა. 2010 წელს, როდესაც დიდი ფეხბურთი აფრიკას ესტუმრება, არ არის გამორიცხული, რომ მას ორმა ქვეყანამ უმასპინძლოს. მე ამის წინააღმდეგი არ ვარ, თუმცა ერთი რამ უნდა შეიცვალოს — კორეა-იაპონიის პირველობისგან განსხვავებით, აფრიკულ ჩემპიონატს ორი მასპინძლის არსებობის შემთხვევაშიც კი ერთი საორგანიზაციო კომიტეტი უნდა ჰყავდეს. დღეს უკვე ცხადია, რომ თანამასპინძლობა ახალი სიტყვაა და ახალ საფეხბურთო კულტურას ქმნის."

ჩანგ-მონგ იონი, კორეის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეა, თანაც ფიფას ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი. მან თქვა: „ძალიან ვშიშობდი, რომ ეს ბოლო ორმასპინძლიანი ჩემპიონატი იქნებოდა. მაგრამ თავი არ შეგვირცხვენია და ღირსეული მასპინძლობით, შეიძლება ითქვას, სიახლეს დავუდეთ დასაბამი. ამან, ვგონებ, მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების შანსი პატარა ქვეყნებსაც გაუჩინა."

ფეხის ხმას, ფიფას ჯერ კიდევ გენერალური მდივანი და ბლატერის მოხიბლე მტერი მიშელ ზენ-რუფინენიც უერთდება: „მსოფლიოს ჩემპიონატების ორ ქვეყანაში გამართვა უპრიანია იმითაც, რომ მასპინძლების რაოდენობა იზრდება. კორეა-იაპონიის მუნდიალმა, რომელსაც ორი არცთუ კეთილგანწყობილი მეზობელი მასპინძლობდა, შესანიშნავად ჩაიარა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ მოინდომებ, ყველაფერი გამოვა. ჩემი აზრით, შემდგომში მუნდიალების თანამასპინძლიანობა შესაძლოა, ჩვეულებრივ მოვლენად იქცეს."

ასე რომ, კორეა-იაპონიის ოცდათორმეტგუნდა ჩემპიონატი, ორი წლის წინანდელ ბელგია-ჰოლანდიურ ევროპის თექვსმეტგუნდიან ჩემპიონატთან ერთად გვაძლევს უფლებას, ვთქვათ: ექსპერიმენტმა გაამართლა. 2010 წელს მუნდიალი აფრიკაში იმართება და მასპინძლობის პატივს წყვილად მაროკო და ტუნისი ეძიებენ, ჩრდილოაფრიკელებს კი შეიძლება, ფრიად ეგზოტიკური ნიგერია-განა შეეცილოს.

აფრიკელებისა არ იყოს, მადა ევროპელებსაც გაეხსნათ. მოგეხსენებათ, 2008 წლისთვის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის სათავისოდ დაბევება შვეიცარია-ავსტრიის, შოტლანდია-ირლანდიის, საბერძნეთ-თურქეთის და ხორვატია-ბოსნიის წყვილებს განუზრახავთ.

**გიორგი გამარდაშვილი**

# ფედერაცია ევროპის ჩემპიონებზე დაერია

**საფრანგეთი** ახალ მწვრთნელს ეძებს. ფეხბურთის ფედერაციის თვალთახედვის არეში სამი კანდიდატი მოხვდა. მათ შორის ორი ევროპის 1984 წლის ჩემპიონია — ალენ ჟირესი და ჟან ფრანსუა დომერგი. მესამე, მოხეტიალე ფილიპ ტრუსიე გახლავთ.

რიგის მიხედვით მივყვეთ. ჟირესი ბოლო რვა წლის განმავლობაში მწვრთნელად მუშაობს. ადრე „ტულუზა" და პსჟ-ში იყო. ახლა მაროკოშია და იქაურ „რაბათს" უდგას სათავეში.

ალენ ჟირესისთვის კანდიდატთა შორის დასახელება მოულოდნელი იყო: „რა თქმა უნდა, ნაკრებში მუშაობა საინტერესოა, მაგრამ ამაზე რეალურად არასოდეს მიფიქრია. ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზია, რომ როჟე ლემერის შემცვლელად მთვლიან."

ეს კიდევ არაფერია, იმასთან შედარებით, რაც ჟან ფრანსუა დომერგს დაემართა. კაცი პირღია დარჩა, როცა შეიტყო, ნაკრების მწვრთნელობას გთავაზობენო. დომერგი „ლე ავრში" მუშაობს, რომელთანაც კონტრაქტი 2006 წლამდე აქვს. კლუბის პრეზიდენტმა ჟან პიერ ლუველმა განაცხადა, თუ ქვეყნის ინტერესებს სჭირდება, მწვრთნელს შეველევიო.

ფილიპ ტრუსიემ კი ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ უარყო მარსელის „ოლიმპიკის" წინადადება — კლუბის გაწვრთნა ჩემი საქმე არ არის, ნაკრებში მუშაობა მსიამოვნებსო: „კა-


ფილიპ ტრუსიე

ნდიდატთა შორის მე ერთადერთი არ ვარ, თუმც ნაკრების მწვრთნელად რომც არ დამნიშნონ, სავარაუდოთა შორის ყოფნა ჩემთვის უდიდესი პატივია." ტრუსიემ დასძინა, ნუ გაგიკვირდებათ, ისევ იაპონელთა თავკაცად თუ მნახავთო.

საფრანგეთის ნაკრების ახალი მწვრთნელის ვინაობა ზვალ, ფედერაციის ლიონის ოფისში გაირკვევა.

**ვაჟა ხუციშვილი**

ესპანეთში ვერავის დააჯერებ, რომ მათი ნაკრები მეოთხედფინალში დამარცხდა. მსაჯებმა გაგვძარცვეს, დაგვაყაჩალეს, უნამუსოდ მოგვექცნენ — მათთვის დამარცხების მიზეზი ოდენ ესაა. გუშინ კი ხოსე ანტონიო კამაჩო ნაკრების მწვრთნელობიდან გადადგა. თავში ნახსენები მიზეზის გამო, მისთვის არაფერი დაუბრალებიათ და შესაბამისად, არც წასვლა მოუთხოვიათ. თავად გადაწყვიტა, ცხოვრება ეტაპებისგან შედგება და ერთი ასეთი ეტაპი დავასრულეო.




ნასარ ალ-ჯოჰარი

# პრინცმა თორმეტი ცოდვა დაითვალა

**როგორც** მოსალოდნელი იყო, საუდის არაბეთის ნაკრების მწვრთნელი ნასარ ალ-ჯოჰარი სამუშაოდან გაათავისუფლეს. ხუმრობა ხომ არ არის, მსოფლიოს ჩემპიონატის სამ მატჩში „უდაბნოს შვილებმა" 12 გოლი გაუშვეს და ერთიც ვერ გაიტანეს. მართალია, მუნდიალზე ზედიზედ მესამედ მოხვედრილი საუდელები ვერც ადრე ბრწყინავდნენ, მაგრამ ირლანდიისგან, კამერუნისგან და განსაკუთრებით კი გერმანიისგან ნაგვემი არაბთა მწვრთნელი საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, პრინც ბინ ფაჰდმა არ დაინდო.

ალსანიშნავია, რომ 56 წლის ალჯოჰარი უკვე მეორედ გაუშვეს ეროვნული გუნდის მწვრთნელის პოსტიდან. ნაკრებში მეორედ იგი შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ირანთან დამარცხების შემდეგ მივიდა (მაშინ პრინცის რისხვა იუგოსლაველ სლობოდან სანტრაჩს დაატყდა).

როდის მივა ალ-ჯოჰარი ამ პოსტზე მესამედ, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, საუდელთა მომავალი მწვრთნელი რომ უცხოელი იქნება, ფაქტია. პრინც ბინ ფაჰდის თქმით, მას უკვე ხუთი უცხოელი სპეციალისტი ჰყავს შეგულებული. არჩევანსაც სწორედ ამ ხუთეულს შორის გააკეთებს.

**სერგი ძორიძე**

# ალანიამ ქართულად გააგრძელა

**რუსეთი**

**პრემიერლიგა. XIII ტური**

**ანჟი 0:0 ლოკომოტივი**

ანჟი: მუიჩინოვიჩი, სტოიკოვიჩი, აკაევი, გორდეევი, აგალაროვი (დმიტრიევი 89), ხოშიჩი, რამაზანოვი, ადიევი, საველიევი, პრუდიუსი, ირისმეტოვი (ბამატოვი 58), ბუდუნოვი
მწვრთნელი: მირონ მარკევიჩი

**დინამო 1:0 ურალანი**

1:0 დიატელი (31)
დინამო: ბერეზოვსკი, კოვალენკო, ტოჩილინი, ბრაბეცი, ხისკა, დიატელი, ბანოვი, ჩესნაუსკასი, ბულიკინი, ხარლაჩევი, კორომანი
მწვრთნელი: ვიქტორ პროკოპენკო

**ცსკა 2:0 შინიკი**

1:0 გუსევი (53პ), 2:0 კირიჩენკო (90)

**ტორპედო 0:1 როსტსელმაში**

0:1 აკოფიანი (50)

**როტორი 2:0 კრილია სოვეტოვი**

1:0 ტრიფონოვი (35), 2:0 ოლეინიკოვი (63)

**ზენიტი 2:1 ალანია**

1:0 ტარასოვი (32), 1:1 აშვეთია (47), 2:1 კრიჟევსკი (71)

**სოკოლი 0:0 სატურნი**

**ტორპედო ზილ — სპარტაკი**

დღეს გაიმართება

**თვენახევრიანი** შესვენების შემდეგ, ორშაბათს რუსეთის პრემიერლიგის გათამაშება განახლდა. ეტყობა, ხალხი ჯერაც ვერ გამოსულა მსოფლიოს ჩემპიონატის შთაბეჭდილებიდან და მოსკოვურ მატჩებს ერთობ ცოტა მაყურებელი დაესწრო. პროვინციას კი ცხოვრების თავისი წესი აქვს და მახაჩყალაში, ლიდერ „ლოკომოტივთან" შეხვედრაზე სტადიონი გაივსო. „ანჟიმ" პირველად ითამაშა ახალი მწვრთნელის, უკრაინელი მირონ მარკევიჩის ხელმძღვანელობით, რომელიც გუნდში ერთი თვეა მუშაობს. ისე ჩანს, მახაჩყალაში ყურადღებით უცქირეს კორეა-იაპონიის ტურნირს, ყოველ შემთხვევაში, „ანჟის" ფეხბურთელები ჟინიანად ირჯებოდნენ და მოწინააღმდეგეს უბრძოლველად მტკაველსაც არ უთმობდნენ, თავდამსხმელებმა, ბუდუნოვმა და ირისმეტოვმა კი სტუმართა დაცვა არაერთხელ ააფორიაქეს.


არმიელმა კირიჩენკომ საგოლედ მოიქნია

რკინიგზელთა გუნდში პირველად ითამაშა „როსტსელმაშიდან" გადაყვანილმა ფორვარდმა ბაბა ადამუმ, რომელიც განაცხადში მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე შეიყვანეს, თუმცა ვერც განელმა და ვერც მისმა ნიგერიელმა მეწყვილე ობიორამ ვერაფერი გააწყვეს. თამაში უგოლოდ დამთავრდა და „ლოკომოტივმა" ორი მნიშვნელოვანი ქულა დაკარგა. ისიც სათქმელია, რომ იური სიომინის გუნდს მახაჩყალაში ტრადიციულად უჭირს. რაც „ანჟი" უმაღლეს ლიგაშია, რკინიგზელებს დაღესტანში არ მოუგიათ.

„თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ. საერთოდ, დიდი შესვენების მერე ტურნირში ჩართვა ყოველთვის ძნელია, მაგრამ ეს გასამართლებელი მიზეზი არ არის. იზმაილოვს ჩვენთან ერთად დიდი ხანია, არ უვარჯიშია, ობიორაც ახლახან დაგვიბრუნდა და აღმოჩნდა, რომ ცუდ ფორმაშია. ანგარიში კი, ვფიქრობ, ლოგიკური იყო" — თქვა სიომინმა.

ამასობაში ცსკა-მ გუსევისა და კირიჩენკოს გოლებით „შინიკს" მოუგო და ლიდერს ორი ქულით ჩამორჩება, თანაც ერთი მატჩით ნაკლები აქვს ნათამაშები. ასე რომ, დაკარგული ქულებით ლიდერები არმიელები გახდნენ.

გუშინ კი „ალანიაში" დაბრუნებული მიხეილ აშვეთია გოლით გამოირჩა, მაგრამ ვლადიკავკაზელები სანკტ პეტერბურგიდან მაინც უქულოდ გაბრუნდნენ.

**სოლომონ გულიაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 13 | 9 | 3 | 1 | 21:6 | 30 |
| ცსკა | 12 | 9 | 1 | 2 | 25:11 | 28 |
| ზენიტი | 12 | 6 | 3 | 3 | 15:11 | 21 |
| კრილია | 13 | 6 | 3 | 4 | 18:15 | 21 |
| სპარტაკი | 12 | 6 | 2 | 4 | 20:17 | 20 |
| სატურნი | 13 | 5 | 5 | 3 | 18:15 | 20 |
| დინამო | 13 | 6 | 1 | 6 | 15:13 | 19 |
| შინიკი | 13 | 5 | 3 | 5 | 17:19 | 18 |
| როტორი | 13 | 5 | 3 | 5 | 10:13 | 18 |
| ურალანი | 12 | 3 | 6 | 3 | 16:15 | 15 |
| ტორპედო | 13 | 3 | 4 | 6 | 16:16 | 13 |
| ანჟი | 13 | 2 | 7 | 4 | 10:17 | 13 |
| ზილ | 12 | 3 | 4 | 5 | 8:15 | 13 |
| როსტსელმაში | 12 | 3 | 3 | 6 | 13:20 | 12 |
| ალანია | 13 | 2 | 3 | 8 | 15:24 | 9 |
| სოკოლი | 13 | 1 | 3 | 9 | 5:15 | 6 |


# იყიდება

ვაკეში, ჯაჯანიძეზე ახალგარემონტებული,
4-ოთახიანი, დუპლექსის ტიპის ბინა გარაჟით.
ტ: 29-13-75; 899 11-64-46



# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი** | | | | | | |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 001 | სენტ გალენი-ციურიხი | 1,85 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,2 | 1,7 |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 002 | აარაუ-ბაზელი | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| 20.30 | 003 | გრასჰოპერი-ვილი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | 004 | გრასჰოპერი-ვილი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 22.30 | 005 | ქსამაქსი-თუნი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 22.30 | 006 | იანგ ბოიზი-ლუცერნი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 19.15 | 007 | დელემონი-სერვეტი | 2,9 | 3,0 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი** | | | | | | |
| | | **5 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 008 | ბადენი-ლუგანო | 2,9 | 3,0 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 009 | კონკორდია-ვადუცი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 20.30 | 010 | ივერდონი-შაფჰაუზენი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| | 011 | ივერდონი-შაფჰაუზენი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 22.30 | 012 | ბელინცონა-ვოლენი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 22.30 | 013 | კრინსი-ლოზანა | 2,9 | 3,0 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| 22.30 | 014 | სიონი-ვინტერთური | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| | | **რუსეთი. მე-13 ტური** | | | | | | |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 021 | ზილ-სპარტაკი | 7,0 | 3,8 | 1,35 | 2,45 | 1,1 | 1 |
| | | **შვედეთი. მე-8 ტური** | | | | | | |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 024 | კალმარი-გიოტებორგი | 3,4 | 3,1 | 2,0 | 1,6 | 1,25 | 1,2 |
| 22.00 | 025 | იორგრიტე-იორებრო | 1,75 | 3,1 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| | | **4 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 026 | ჰამარბი-ლანდსკრონა | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 22.00 | 027 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 22.00 | 028 | მალმიო-ჰალმსტადი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| | | **5 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 029 | იურგორდენი-ელფსბორგი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| | | **ფინეთი. მე-13 ტური** | | | | | | |
| | | **4 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 035 | მიუპა-ვაასა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| | 036 | მიუპა-ვაასა 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 20.30 | 037 | ალიანსი-ტამპერე | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,4 |
| 20.30 | 038 | ინტერი-ჰაამეენლინა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| | 039 | ინტერი-ჰაამეენლინა 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 20.30 | 040 | იარო-ლაჰტი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 20.30 | 041 | ჯაზი-ჰიკ | 4,0 | 3,2 | 1,75 | 1,75 | 1,2 | 1,1 |
| | | **ავსტრია. სუპერთასი** | | | | | | |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 20.15 | 046 | შტურმი-გრაცერი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| | | **ინტერტოტო. მე-2 ეტაპი. 1-ლი მატჩები** | | | | | | |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 047 | კრილია-დინაბურგი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 19.00 | 048 | კოლრეინი-ტრუა | 5,3 | 3,5 | 1,55 | 2,1 | 1,1 | 1,05 |
| 19.00 | 049 | ფულემი-ჰაკა | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 20.00 | 050 | სლავენი-ბელენენსეში | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 20.00 | 051 | გლორია-ტეუტა | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 20.00 | 052 | აშდოდი-მარეკი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 20.00 | 053 | ვილიარეალი-ჰაფნარფიორდური | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 20.00 | 054 | ტორინო-ბრეგენცი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 20.00 | 055 | ტეპლიცე-სანტა კლარა | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 22.30 | 056 | ციურიხი-ლევადია | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 22.30 | 057 | სოშო-ქალგირისი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,05 | 3,55 |
| 22.30 | 058 | ტილბურგი-სენტ გალენი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 23.00 | 059 | გენტი-სენტ პატრიკსი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 060 | სინოტი-ჰელსინგბორგი | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 20.30 | 061 | მიუნხენი-ბატე | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 21.00 | 062 | შტუტგარტი-ლოკერენი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |

## ფორმულა 1. ბრიტანეთი. 7 ივლისი (14.00)

| | 5001 გამარჯვებული | 5101 სამეული | 5201 ექვსეული | 5002 უსწრაფესი წრე |
|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,7 | 1,15 | 1,08 | 2,0 |
| ბარიკელო | 4,0 | 1,5 | 1,25 | 3,0 |
| მონტოია | 7,0 | 1,85 | 1,3 | 4,0 |
| რ.შუმახერი | 8,0 | 2,2 | 1,3 | 6,0 |
| კულტჰარდი | 9,0 | 2,5 | 1,3 | 12,0 |
| რაიკონენი | 15,0 | 4,0 | 1,45 | 20,0 |
| ბატონი | 40,0 | 10,0 | 2,4 | 50,0 |
| ტრული | 40,0 | 10,0 | 2,5 | 50,0 |
| ჰაიდფელდი | 75,0 | 15,0 | 2,8 | 100,0 |
| მასა | 75,0 | 20,0 | 4,0 | 100,0 |
| ფიზიკელა | 100,0 | 25,0 | 4,4 | 100,0 |
| ფრენცენი | 100,0 | 25,0 | 5,0 | 100,0 |

| 5003 რამდენი პილოტი დაამთავრებს რბოლას | |
|---|---|
| 11 ან ნაკლები | 4,0 |
| 12 ან 13 | 3,5 |
| 14 ან 15 | 3,5 |
| 16 ან მეტი | 2,5 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Iბ კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |



დავით ჩალაძე რუსეთშიც ბომბარდირობს

# ქართველებს პრეზიდენტი გაექცათ

## ჩალაძე პრემიერლიგისკენ იხედება

ლევან სილაგაძეს, გამორჩევით კი დავით ჩალაძეს, რუსეთის პირველი დივიზიონის კლუბში გადასვლა ბევრმა უკან გადადგმულ ნაბიჯად ჩაუთვალა და, ალბათ, ეს ასეცაა, მაგრამ იმ ფაქტს ვერსად გავექცევით, რომ ქართველთა ამ გადაწყვეტილებით ყველაზე მეტად მეორე მხარემ — კლუბმა იხეირა. სილაგაძეც და ჩალაძეც გამორჩეულნი არიან ყაზანის „რუბინში" და ტრადიციულად ეს უამბიციო გუნდი წლეულს რუსული საზომით ვარსკვლავებს ეთამაშება — პრემიერლიგაში აღზევებას ლამობს.

პირველი დივიზიონის მეთექვსმეტე ტურში „რუბინი" როსტოველ არმიელებს ეწვია. ცოტა ხნის წინ ამ გუნდის ღირსებას ჩვენებური ალექსანდრე გელაძეც იცავდა. არმიელები ვარსკვლავებს არ წყვეტენ, მაგრამ წინა ტურებში ლიდერთა ოთხეულის ორი წარმომადგენელი დაამწუხრეს და „რუბინთანაც" წარმატებას გეგმავდნენ, მაგრამ ჩალაძემ დებიუტშივე გადაუწურა იმედი როსტოველებს და სილაგაძის პასით დააწინაურა ყაზანელები, ქართველმა მეგოლემ მატჩის ბოლოს დუბლიც გააზერხა, „რუბინმა" კი მატჩი 4:0 მოიგო. გიზო ჯელაძე სათადარიგოებში იმყოფებოდა. მოკლედ, ყაზანელები თექვსმეტი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად ლიდერობენ და ქულით უსწრებენ „ჩერნომორეცს" და „ტომს". ჩალაძე ბომბარდირთა მარაქაშიც გაერია, მას და ტოლიატელ დავიდოვს 8-8 გოლი აქვთ გატანილი. აქვე ისიც ვთქვათ, რომ პირველი დივიზიონის ლიდერს სულ 8 გოლი აქვს გაშვებული, რაც დაცვის საიმედოობაზეც მეტყველებს. ამაში კი დიდი წვლილი ლევან სილაგაძეს მიუძღვის, მას ცენტრალური მცველის პოზიციაზე უწევს თამაში და ერთობ ემადლიერებიან კლუბში.

საპირისპირო ვითარებაა კიდევ ერთ „ქართულ" გუნდში — თეიმურაზ გადელიას, თენგიზ სიჭინავას და ზვიად ჯელაძის „კრისტალი" აუტსაიდერთა შორის ტრიალებს. სმოლენსკელები ბოლოდან მეორე ადგილზე არიან და გასულ ტურში პატარა სასწაული მოახდინეს — ფრედ ეთამაშნენ სტუმრად მეოთხეადგილოსან „ხიმკის". მატჩი 1:1 დასრულდა და „კრისტალი" სიჭინავას 35 მეტრიდან გატანილი გოლით დაწინაურდა, თუმც მეორე ტაიმში მასპინძლებმა პენალტით გაქვითეს. სიჭინავასგან განსხვავებით, მატჩი სრულად ჩაატარა ჯელაძემ, გადელია კი სათადარიგო იყო. წესით, სმოლენსკელებს „ხიმკთან" მოპოვებული ქულა ოპტიმიზმის საფუძველს უნდა აძლევდეს, მაგრამ გუნდის მომავალი ერთობ ბუნდოვანია — „კრისტალი" უპრეზიდენტოდ არის დარჩენილი, გუბერნატორის არჩევნებში მარცხნაჭამმა პროხოროვმა კლუბი მოატყუა და დღე-დღეზე მთავარ მწვრთნელ იგორ ბელიანოვიჩის გადადგომასაც ელიან. შესაბამისად, ისიც შესაძლებელია, ქართველებს კლუბის დატოვება მოუხდეთ.

ბოლოს ჩიტელ პაატა ჯინჭარაძეზეც ვთქვათ. „ლოკომოტივი" — „ჩერნომორეცის" მატჩში ქართველმა ლეგიონერმა მასპინძელთაგან უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, თუმც მისი ძალისხმევა ჩიტელ რკინიგზელებს ვერაფერში შეეწია — „ჩერნომორეცმა" მინიმალური სხვაობით იმარჯვა საგარეო მატჩში და „ლოკომოტივი" სატურნირო ცხრილში მე-12 ადგილზე ჩააცილა.

ბაატა ქვანტალიანი




იყიდება სასწრაფოდ! ლაზერული პრინტერი LASERJET 5000N

ნახმარ მდგომარეობაში

ტელ. 38-11-14, 39-48-29

ფასი შეთანხმებით


# ნუ გადააგდებ გორდას!

ბოლო წლებისთვის დამახასიათებელი სიტუაციაა — რუსთავის „გორდა" სამარცხვინო დღეშია. მწვრთნელ-ფეხბურთელთა თავდადების შედეგად უმაღლეს ლიგაში ადგილის სასწაულებრივად შემნარჩუნებელი გუნდი უპატრონოდაა მიგდებული.

წყალში ჩაიყარა კილასონიების და გორდელების თავგანწირვა. ვარლამ კილასონიამ შეძლო გუნდი უიმედო სიტუაციიდან გამოეყვანა და როცა ყველას ეგონა, ხელმძღვანელობა ფეხბურთზე გულს მოიბრუნებდა და რუსთავს ოდინდელ საფეხბურთო ავტორიტეტს დაუბრუნებდა, პირიქით მოხდა, „გორდა", უკვე მერამდენედ, მიტოვებულ-მოტყუებული დარჩა.

კლუბის პრეზიდენტ თემურ ბუილიშვილის გარდაცვალების შემდეგ „გორდას" ქვემო ქართლის პოლიციის შეფი ალექსანდრე ბუკია მფარველობდა, თუმც ამ კეთილისმყოფელის შესაძლებლობები სეზონის ბოლოს ამოიწურა. ბუკია „გორდას" გაეცალა და გუნდიც მთლიანად ქალაქის იმედად დარჩა. ადგილობრივი არჩევნების წინ „გორდას" მომავალი ვარდისფრად ჩანდა. მწვრთნელ-ფეხბურთელებმა უამრავი დაპირება მიიღეს — გუნდს ვუპატრონებთ, რუსთავში ფეხბურთს ავაყვავებთო და მოხდა ის, რაც ასეთ დროს ხშირად მომხდარა — „გორდა" ყველამ მოატყუა და მიივიწყა. დღეს ვარლამ კილასონიას ელემენტარულად იმის საშუალებაც არა აქვს, რომ გუნდი ავარჯიშოს. გასვლით შეკრებასა და ჩემპიონატისთვის სათანადოდ მომზადებაზე ხომ ლაპარაკიც არ არის. არადა, კილასონია არ ჰგავს იმ კაცს, მოუმზადებელი, დაშლილი გუნდით ჩაებას მეთოთხმეტე ეროვნულ ჩემპიონატში. არადა, დღეს რუსთავში იმყოფებიან ისეთი გამოცდილი მცველები, ზურაბ არჩვაძე და ალექსანდრე ბურნაძე რომ არიან. შესაძლებელია პერსპექტიულ ფეხბურთელ დავით ჩოხელის „გორდაში" გადაყვანაც, მაგრამ ამ საქმეს, ბუნებრივია, თანხა სჭირდება, ფული, რომელიც არ ჩანს. ფეხბურთელებს იმედიანი მზერა ვარლამ კილასონიაზე აქვთ მიპყრობილი. კილასონიაც აღმა-დაღმა დარბის, მაგრამ მისმა ავტორიტეტმაც ვერ გაულღო გული საფეხბურთოდ მკვდარ ქალაქს. ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვეღა დარჩა. ამ დროს, წესით, გუნდი საშვებულებაში უნდა იყოს, მაგრამ... სავალალო უფრო ის არის, რომ სასიცოცხლო პერსპექტივაც არ ჩანს — რუსთავმა კიდევ ერთხელ თქვა, რომ არ უნდა ფეხბურთი. ასეთ დროს ისიც საკითხავია, ღირდა კი „გორდას" უმაღლეს ლიგაში დარჩენა?



მეცამეტე ეროვნულის ბოლოს ვარლამ კილასონია კარგ ხასიათზე იყო

ბაატა ქვანტალიანი

# ჯერ დაუთმეს, მერე დაუზავდნენ

მოახლოებული მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის სამზადისშია უმაღლეს ლიგაში ერთწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებული გორის „დილა". გორელებმა ძლიერად ჩაატარეს გასული სეზონი პირველ ლიგაში და რჩეულთა რიგებს სწრაფადვე შეუერთდნენ.

ახლა „დილა" გორში ვარჯიშობს, 5 ივლისიდან კი იქვე სასტუმრო „ვიქტორიაში" დაბინავდება და ათდღიან საწვრთნელ შეკრებაზე გადავა. საშუასეზონო პერიოდში გუნდი ორმა ფეხბურთელმა დატოვა. ბურნაძე და გოგინაშვილი თბილისის „ლოკომოტივში" გადაბარგდნენ და ახლა სწორედ რკინიგზელებთან ერთად ემზადებიან უეფას თასზე დანიურ „კოპენჰაგენთან" სათამაშოდ.

სამაგიეროდ, გორელები სამი ახალწვეულით იწონებენ თავს, თუმც თავდამსხმელ დავით ეჯოშვილზე ახალწვეული ნაკლებად ითქმის. ის წლების მანძილზე „დილაში" თამაშობდა, წინა სეზონი კი „ცხინვალში" გაატარა და ახლა კვლავ მშობლიურ კლუბში დაბრუნდა. დანარჩენი ორი ზუგდიდელია — თოდუა და ბაკარაძე მეთოთხმეტე ეროვნულ ჩემპიონატს „დილას" მაისურით შეხვდებიან.

რამდენიმე დღის წინ გორელებმა თბილისის „ლოკომოტივთან" ამხანაგური მატჩიც გამართეს. შეხვედრა ვაკეში, „ლოკომოტივის" სტადიონის ახლადმოწყობილ სათადარიგო მოედანზე ჩატარდა და ფრედ, 1:1 დასრულდა.

ბახა შალამბერიძე

# დინამომ ლიგა დაიპყრო

1985 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა ბავშთა ლიგის გამარჯვებული ზედიზედ მეორედ რევაზ გაგუას „ნორჩი დინამოელი" შეიქნა. გაგუას შეგირდებმა ტურნირი 17-წლამდელთა ნაკრებში გამოძახებული მოთამაშეების დაუხმარებლად მოიგეს. გუნდის მთავარი მეგოლე (13 მატჩიში 11 გოლი) ჯაბა დვალი, შეჯიბრების პირველი ეტაპის შემდეგ „დინამო 3"-ში გადაბარგდა. წამყვანი ფეხბურთელების გარეშე მოპოვებული საბოლოო გამარჯვებაც უფრო ფასეული გამოდგა. საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს გუნდის გაწვრთნაში ალექსანდრე გავაშელი და ზურაბ გაფრინდაშვილი ეხმარებოდნენ. ბავშთა ლიგაში 14 გუნდი მონაწილეობდა, „დინამოს" კვალად მეორე ადგილი ქუთაისის „იმერეთმა" ირგუნა, ხოლო მესამეზე თბილისური „ყაზბეგი" გავიდა.



ბავშვთა ლიგის მომგები „ნორჩი დინამოელი":
დგანან (მარცხნიდან): გიორგი სხირტლაძე, ჯაბა ბერიანიძე, ლაშა დონდოლაძე, თორნიკე ელიზბარაშვილი, ლევან ხურციძე, ლევან აბაშიძე, ნოდარ მორჩაძე, გოგა გაბისონია, არჩილ ალავიძე, ლადო ცხოვრებაშვილი, გოჩა მამფორია, გოგა ექონია, ზვიად ჩალაძე, გიორგი გიგაური, დავით ჯვარშეიშვილი, დავით კანთელაძე, მიხეილ სიჭინავა, დავით სოხანეიშვილი
სხედან: ანდრო აბაშიძე, ირაკლი ღიბრაძე, ნიკა ბუბუტეიშვილი, ბიძინა ზურიკაშვილი, ვასილ ღუჭაშვილი, გიორგი სურგულაძე, გიგი გულუა, დავით ცირამუა



# შუშაქმა კორეა-იაპონია ნახა და სამი ფორვარდით თამაში გადაწყვიტა

*დღეს თბილისის „დინამო" გერმანიაში მიდის და იქაურ დაბა რუიტში გააგრძელებს მზადებას ახალი სეზონისთვის.*

*გუნდის ხორვატ დამრიგებელი ივო შუშაკს კი გუშინ შევხვდით დილმის ბაზაზე და ინტერვიუც ვთხოვეთ*

**— თქვენ ადრე ამბობდით, ჩემპიონობა რომ არ გაგვიჭირდეს, გუნდი ახალი ფეხბურთელებით უნდა გაძლიერდესო. კმაყოფილი ხართ უკვე ჩატარებული სელექციით?**

— ჯერჯერობით ოთხი ფეხბურთელი დავიმატეთ, ისინი გუნდს გერმანიაშიც გაჰყვებიან — ნუკრი მანჩხავა, დავით კვირკველია, ირაკლი ებანოიძე და ლადო ახალაია. „დინამო" გადახალისებასა და გაძლიერებას მოითხოვს და ამ მხრივ მუშაობას კვლავაც გავაგრძელებთ.

**— გერმანიაში სამხრეთამერიკელი ფეხბურთელების გასინჯვას და დამატებას აპირებთ. რა ამპლუის მოთამაშეები გჭირდებათ ახლა ყველაზე მეტად?**

— მნიშვნელობა არა აქვს, რა პოზიციაზე დავიმატებთ ახალ ფეხბურთელებს, მთავარია, კარგი მოთამაშეები შევარჩიოთ.

**— მანჩხავა და კვირკველია მცველები არიან, თქვენმა გაწვრთნილმა „დინამომ" კი წინა ჩემპიონატის მეორე ეტაპზე განსაკუთრებით დაცვაში თამაშით გამოიჩინა თავი. როგორ ფიქრობთ, ეს ფეხბურთელები გაუწევენ კონკურენციას გიორგი შაშიაშვილს, ალეკო ამისულაშვილს, ირაკლი ვაშაკიძესა და [illegible] კანდელაკს?**

— ჩვენ წინ გრძელი სეზონი გველის. ეროვნული ჩემპიონატის გარდა უეფას თასზეც უნდა გამოვიდეთ და მხოლოდ თხუთმეტ-თექვსმეტი ფეხბურთელის იმედზე ვერ ვიქნებით.

**— ტანმაღალი, ათლეტური და თავით კარგად მოთამაშე ფორვარდის დამატებაც გსურდათ. მიგაჩნიათ, რომ ლადო ახალაიას მოწვევით ეს საკითხი გადაჭრილია?**

— ახალაიას მზადყოფნით კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, ის საქმეს თავს გაართმევს. პერსპექტიული თავდამსხმელია ებანოიძეც. მათ გარდა გუნდში ხომ გიორგი მიქაძე და მიხეილ ბობოხიძეც გვყვანან. ერთი სიტყვით, თავდასხმაში კონკურენცია გაიზრდება. ახალი ფორვარდების დამატება კი საშუალებას მოგვცემს, საჭიროების შემთხვევაში სამი თავდამსხმელით ვითამაშოთ.

**— მალხაზ ასათიანის გადმობირება რომ გსურთ ძველი ამბავია, მაგრამ ის კვლავ ტორპედოელია და, ცხადია, გერმანიაში ვერ მოგყვებათ...**

— ასათიანი მართლაც ძალიან გვინდა, მაგრამ „ტორპედოს" ხომ ჩემპიონატის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე უწევს თამაში და ეს ფეხბურთელიც სჭირდება. სამომავლოდ კი გვსურს ასათიანი ჩვენთან გადმოვიყვანოთ.

**— გასაგებია, მაგრამ „დინამო" ახლა გერმანიაში ვარჯიშის გარდა საკონტროლო მატჩებსაც ჩაატარებს, რაც ახალი ფეხბურთელებისთვის, თავის გამოსაჩენად უაღრესად მნიშვნელოვანია.**

— დიახ, ეს იდეალური ვარიანტი იქნებოდა, მაგრამ ასათიანი ახლა ჩვენთან ვერ იქნება. თუმც კარგი ფეხბურთელების აყვანა ნებისმიერ დროს გამართლებულია.

**— „დინამოდან" არც ერთ მოთამაშეს არ გაუშვებთ?**

— გერმანიაში ტრავმების გამო ვერ მოდიან გიორგი მანწკავა, ოთარ ხიზანეიშვილი და რამაზ სვანაძე. რაც შეეხება ჯონი შალამბერიძეს და კოკა მიკუჩაძეს, ჯობს ეს ფეხბურთელები სხვა კლუბებში გადავიდნენ და სათამაშო პრაქტიკა მიიღონ. მიკუჩაძე ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელია, ძირითადში იმიტომ ვერ ხვდებოდა, რომ გუნდი ისედაც კარგად თამაშობდა. თუ მიკუჩაძეს სათამაშო პრაქტიკა ექნება, ეს ძალიან წაადგება — ახალგაზრდა ფეხბურთელები სწორედ თამაშით კაცდებიან.

**— ლადო ბურდულს უწინასწარმეტყველეთ, ერთ წელიწადში ევროპული დონის ფეხბურთელი გახდებაო, თუმც „დინამოში" თქვენი მისვლის შემდეგ ის მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციიდან ნახევარდაცვის ცენტრში შესწიეთ და ბურდულიც დიდად ველარ ბრწყინავდა. ეროვნულ ნაკრებში კი ალექსანდრე ჩივაძეს ეს ფეხბურთელი სწორედ მარჯვენა ნახევარმცველად სჭირდება...**

— ნაკრების ინტერესები გასათვალისწინებელია და ვფიქრობ, ბურდულის შეცვლილი პოზიცია ახლოსაა მარჯვენა ნახევარმცველობასთან. პოზიციის შეცვლა კი ფეხბურთელს საშუალებას აძლევს უფრო კარგად წარმოაჩინოს თავისი ნიჭი.

**— გუნდის შესაძლებლობებიდან გამომდინარე უეფას თასზე რამდენი ეტაპის გადალახვას აპირებთ?**

— ჯერ ტალინის MVTK-ს ვხვდებით და ამ მატჩისთვის ძალიან სერიოზულად მოვემზადებით. ფეხბურთელებიც უნდა დავარწმუნო, რომ იოლი მატჩები არ გველის. რაც შეეხება იმას, თუ რამდენი ეტაპის გადალახვას ვაპირებთ, ჯერ ვნახოთ, რა დონის გუნდებს გადავეყრებით.

**— კორეა-იაპონიაში ბრძანდებოდით და იქნებ ორიოდ სიტყვით გაგვიზიაროთ შთაბეჭდილებები.**

— ჩემპიონატმა ბევრი ახალი და საინტერესო რამ გვიჩვენა. ტრადიციულად ძლიერ და დანარჩენ გუნდებს შორის სხვაობა ძალიან შემცირდა. ფინალი და მესამე ადგილისთვის მატჩი ღირსეულებმა მოიგეს და გუნდებიდან სწორედ ბრაზილიასა და თურქეთს გამოვარჩევდი. ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ გუნდებს გოლები უმეტესწილად მაშინ გაჰქონდათ, როცა მეტოქეს ბურთს აართმევდნენ და მყისვე შეუტევდნენ.

მე კი თექვსმეტი მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი წავიყვანე.

**დავით თავართქილაძე**

# მიზანი მექვსეულზე მეტია

## მომძლავრებული სიონი ევროპაზე ფიქრობს

— მეთორმეტე ჩემპიონატში ჩვენი მიზანი უეფას თასის საგზურის მოპოვებაა — ასეთი თამამი განცხადება გააკეთა გუშინ ბოლნისის „სიონის" პრეზიდენტმა ზურაბ ჯაფარიძემ „სარბიელთან" საუბრისას.

ზურაბ ჯაფარიძის სიტყვებში ბევრმა შეიძლება ეჭვი შეიტანოს, მაგრამ თუ გუნდში მიმდინარე სასიკეთო ძვრებს გავითვალისწინებთ, გამორიცხული არაფერია.

„სიონი" უკვე ექვსმა ფეხბურთელმა დატოვა. არჩილ შაკიაშვილმა, მურმან გოგოლაძემ და ზვიად პაპიძემ კარიერის დასრულება გადაწყვიტეს. მამუკა მინაშვილმა რუსეთს მიაშურა, უცხოეთში სურს კარიერის გაგრძელება კახა სიდამონიძესაც, ხოლო კახა გოდერძიშვილის გზა-კვალი არავინ უწყის.

ახლა ახალწვეულებიც ვიკითხოთ: ლოკომოტიველი დავით დათვაძე, მეტალურგები დავით ბაქრაძე და ზვიად კრავეიშვილი, რუსთაველი ზურაბ ბათიაშვილი, მერანელები — რომეო გოგიტაძე და ზაზა კვაკვესკირი, დინამოელები — აკაკი მიკუჩაძე, ლევან შავგულიძე და ჯონი შალამბერიძე დიდი შანსია, მეთოთხმეტე ეროვნულ ჩემპიონატში სიონელებად მოგვევლინონ.

დაგვეთანხმებით, რომ ბოლნისელებმა ამ ფეხბურთელთა ნახევრის გადაბირება თუ მაინც შეძლეს, თემურ მახარაძე საკმაოდ ძლიერ გუნდს გააკეთებს და ზურაბ ჯაფარიძის სიტყვებიც რეალობასთან ახლოს იქნება.

ამ საკითხს უახლოეს დღეებში მოეფინება ნათელი და როგორც „სიონის" ტექნიკურმა დირექტორმა პეტრე დანელიამ გვითხრა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ყველაფერი ბოლნისელთა სასიკეთოდ უნდა დასრულდეს.

ამჟამად „სიონი" ბოლნისში ვარჯიშობს, 8 ივლისიდან კი ლაგოდეხს მიაშურებს 12-14 დღიან საწვრთნელ შეკრებაზე. „სიონი" წინასასეზონოდ პირველ ამხანაგურ მატჩს დღეს გამართავს თბილისურ „დინამო 2"-თან. ამის შემდეგ კიდევ ერთ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს ჯერაც უცნობ მეტოქესთან და მერე ლაგოდეხსაც ეწვევა.

**კახა შალამბერიძე**



დავით დათვაძეს (მარჯვნივ) ბოლნისში ეპატიჟებიან

# საღამო მშვიდობისა

## დარასელია და დინამო მწუხრზე მორიგდნენ

**ფეხბურთელთა** ოცდაოთხკაციანი სია შეადგინა ივო შუშაკმა საგერმანიოდ, მაგრამ გუშინ კარგა ხანს გაურკვეველი იყო ერთი მოთამაშის საკითხი.

თბილისის „დინამოს" ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელ ვიტალი დარასელიას კონტრაქტი დაუმთავრდა და ფეხბურთელი და კლუბის ხელმძღვანელობა ახალი ხელშეკრულებისთვის მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ. საქმე ისე გაჯანჯლდა, რომ გუშინ დარასელია უარზე იყო გერმანიაში გაჰყოლოდა „დინამოს" შეკრებაზე.

დინამოელთა დამრიგებელმა ივო შუშაკმა კი გვითხრა, გუნდის ბირთვი ანუ დამრტყმელი ძალა აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს, დარასელია უაღრესად საჭირო ფეხბურთელია და ამის შესახებ კლუბის ხელმძღვანელობასაც ვუთხარიო.

ერთი სიტყვით, ყველაფერი გუშინ გვიან საღამოს გადაწყდა — კლუბი და ვიტალი დარასელია შეთანხმდნენ და ეს ფეხბურთელი დღეს გუნდთან ერთად გაემგზავრება გერმანიაში.

**დავით თავართქილაძე**



ვიტალი დარასელია

# ჯანაშიამ საბულგარეთო მატარებელს მიუსწრო

**16-დღიან** ბულგარულ შეკრებაზე თბილისიდან აბარგებულმა „ლოკომოტივმა" გუშინ ქალაქ ტრიავნაში ჩააღწია. რკინიგზელები სამვარსკვლავიან სასტუმრო „რალიცაში" დაბინავდნენ და წვრთნასაც შეუდგნენ.

ტრიავნა ზღვის დონიდან 400 მეტრზე მდებარეობს. ადგილობრივ მაცხოვრებლები მთის სუფთა ჰაერით, ისტორიული ნაგებობებით, კომფორტული გზებითა და მოწესრიგებული სარკინიგზო კვანძებით იწონებენ თავს.

ადრევე გაუწყეთ, ვიცე-ჩემპიონთა 30-კაციან დელეგაციაში 21 ფეხბურთელია. სერგო კოტრიკაძე და გია ჯიშკარიანი შეკრებაზე ერთ-ერთი სწრაფი გარემარბის, რუსიას გარეშე გაემგზავრნენ. მამუკამ კლუბის ხელმძღვანელებთან მცირე გაუგებრობა კი მოაგვარა, მაგრამ დროის სიმცირის გამო საბულგარეთო ვიზას ვერაფერი მოუხერხა და თბილისში დარჩა. რუსია ფარმ-კლუბთან ივარჯიშებს.

რკინიგზელებმა როგორც იქნა, მიაგნეს ჯანაშიას. უფრო სწორად, ზაზა თავად გამოჩნდა გამგზავრებამდე ორი დღით ადრე. გარკვეული პრობლემები მქონდაო, ვარჯიშებზე არყოფნის მიზეზები აუხსნა მწვრთნელებს და დღეს ისიც ტრიავნაშია.

„ლოკომოტივს" ბულგარეთში ხუთი საკონტროლო მატჩი დაუგეგმავს. ვიცე-ჩემპიონს პირველი მეტოქე, ერთ-ერთი იქაური გუნდი, სადღეისოდ შეუგულებია.

**გამუკა კვანტალიანი**

**შედეგი**

VIII ტური

**ჰელსინგბორგი 2:1 აიკ**

# ემზადე რუსეთისთვის!

## კიდევ ერთი მუსიე ქართველების ფრანგულ გენშტაბში

*დღეიდან საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ბათუმში ათდღიან შეკრებას იწყებს. ბორჯღალოსნები 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადებიან.*

გუშინ დილით შეკრებაზე გამოძახებული მორაგბეები სპორტის სასახლესთან შეიყარნენ, საიდანაც ბათუმის გზას უნდა დასდგომოდნენ. მოსვლას აგვიანებდა ნაკრების მწვრთნელი კლოდ სორელი, რომელიც გუშინ გამთენიისას საფრანგეთიდან ჩამოფრინდა და თან მეგობარი და კოლეგა პატრიკ ფორი ჩამოიყვანა. ფორი ნაკრების მწვრთნელთა შტაბს შეემატება და უკანახაზელებს გაწვრთნის. ასეთი პრაქტიკა მსოფლიო რაგბის გრანდებისთვის ჩვეულია — მორკინალებს მთავარი მწვრთნელი ავარჯიშებს, უკანახაზელებს დამხმარე. ასე რომ, ამიერიდან სორელის თანაშემწე პატრიკ ფორი იქნება. თუ ვინ არის იგი და რას წარმოადგენს, ამაზე ქვემოთ.

დათქმულ ადგილზე პირველი „ბეზიეს“ მორკინალი ტარიელ რატიანიძე გამოჩნდა. რატიანიძეს მალე გიორგი ჩხაიძე და ბესიკ უდესიანიც მოყვნენ. უდესიანმა ახალი ამბავიც გვამცნო: თბილისში გამოფრენის წინ ბორჯღალოსანთა მორკინალს კლუბი გამოუცვლია და „ფედერალ-1“-ის (მე-2 ლიგა) „სტრასბურთან“ გაუფორმებია ერთწლიანი კონტრაქტი. აქამდე უდესიანი უფრო სუსტ „კრეზოს“ ღირსებას იცავდა კიდევ ერთ ბორჯღალოსანთან, სერგო გუჯარაიძესთან ერთად. უდესიანმა ისიც გვითხრა, „კრეზო“ გუჯარაიძემაც დატოვა და „ლონსელონიეში“ გადავიდა, დეტალები არ ვიცი, ყველაფერს თავად სერგო გეტყვითო. ცოტა ხანში გუჯარაიძეც გამოჩნდა და თავისი ტრანსფერის ამბავიც დაგვიდასტურა. „ლონსელონიე“ სერიოზული კლუბია და „კრეზოს“ ათი თავით სჯობს. იქ გადასვლა ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია, საქმეს ასე უფრო წაადგება. „ლონსელონიეში“ ერთი წელი დავრჩები, თუ ორივე მხარე კმაყოფილი ვიქნებით, კონტრაქტსაც გავაგრძელებთ — გვითხრა გუჯარაიძემ, რომლის სანაკრებო დებიუტი წლეულს, რუსეთთან თბილისში ფრედ (12:12) დამთავრებულ მატჩში შედგა.

დაახლოებით ათი საათისთვის შეკრებაზე გამოძახებულთა უმეტესობა სპორტის სასახლესთან იყო. ბარგი მანქანებში დააბინავეს და ვისაც ერთმანეთი მანამდე არ ენახა, ამბები მოიკითხეს. არ ჩანდნენ ნაკრების ქუთაისელი ლეგიონერები ბესიკ ხამაშურიძე, აქვსენტი გიორგაძე და თედო ზიბზიბაძე. საფრანგეთიდან წინა ღამით ჩამოფრენილნი ქუთაისში წასულან ოჯახების მოსანახულებლად და იქიდან დაემგზავრებიან დანარჩენებს. მოულოდნელი იყო ნაკრების ექსკაპიტან ზურაბ მჭედლიშვილის მოსვლა, რაკი „პანკრო“ ტრავმირებული იყო და შეკრებაზე ვერ ჩამოდიოდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნაოპერაციევი მხარი მოურჩენია და ბათუმში ისიც ივარჯიშებს, სამაგიეროდ, შეკრებაზე არ იქნებიან (თბილისში არც ჩამოსულან) პალიკო ჯიმშელაძე, გრეგუარ იაშვილი და შოთა მოდებაძე. სამივე ტრავმირებულია, ვარჯიშს აგვისტოში დაიწყებენ.

თერთმეტი საათი სრულდებოდა და მორაგბეები გასამგზავრებლად გაემზადნენ, როცა ნაკრების კურატორ გია ჭუმბურიძის მანქანით ნაკრების მწვრთნელთა შტაბი სრული შემადგენლობით მოვიდა: კლოდ სორელი, პატრიკ ფორი და ფიზმომზადების მწვრთნელი ტიერი რუდილი. სორელმა ბიჭები გადაკოცნა, ამბები გამოჰკითხა და ის-ის იყო, მანქანაში ჩაჯდომას აპირებდა, მცირე ინტერვიუ რომ ვთხოვეთ. ძალიან მეჩქარება და ახლავე დავიწყოთო, გვითხრა სორელმა და გვერდზე გაგვიხმო.

**— ერთა თასის დასრულების შემდეგ მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირისთვის მზადების საგანგებო გეგმა შეიმუშავეთ. ასეთი მასშტაბის შეკრება ჯერ არ მოგიწყვიათ, ამით დასრულდება თუ კიდევ გექნებათ მსგავსი შეკრება?**

— ასეთი მასშტაბური აღარ გვექნება. დაახლოებით 40-კაციანი შემადგენლობა ნელ-ნელა გაიცხრილება და მზადების მომდევნო ეტაპისთვის 25 კაცს დავიტოვებ. აგვისტოში საფრანგეთში მოვაწყობთ სამკვირიან შეკრებას, მერე რამდენიმე ერთობლივი ვარჯიში გვექნება ფრანგულ კლუბებთან. დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რათა რუსეთთან მატჩს სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ. საჭიროა, ავამაღლოთ ბიჭების ფიზიკური კონდიციები და თეორიულადაც ვიმეცადინოთ. ბათუმში საამისოდ მშვენიერი პირობებია.



კლოდ სორელი

**— თქვენს გეგმაში ტესტ-მატჩები არ შედის?**

— როგორ არა. აგვისტოში სამი საკონტროლო მატჩია დაგეგმილი. ჯერ ფრანგულ კლუბებს — „ლიონს“ და „ალბის“ ვეთამაშებით, მერე იტალიის ნაკრებს.

**— გადაწყვეტილია?**

— ასი პროცენტით.

**— პატრიკ ფორი თქვენ მოიწვიეთ ნაკრებში თუ ვინმემ რეკომენდაცია გაუწია?**

— პატრიკი ჩემი მეგობარი და კარგი მწვრთნელია. იგი უკანახაზელებს გაწვრთნის. წამყვან გუნდებში ასეთი პრაქტიკა ჩვეულებრივი ამბავია.

**— ფორის ჩამოყვანა იმანაც ხომ არ გაიძულათ, რომ საქმეს ვერ აუდიოდით?**

— ცხადია, ახლა მეტი დრო მექნება და ყველაფერს დეტალურად გავაანალიზებ. მორკინალებს უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევ. თანაც პატრიკი უკანახაზელებს რაგბის ბევრ საიდუმლოს შეასწავლის და გამართულად ათამაშებს. რუსეთთან შეხვედრამდე ყველანაირად ვცდილობთ, მაქსიმუმი გავაკეთოთ, რათა ჩვენი შანსები გავზარდოთ. ერთი სიტყვით, სერიოზულ მუშაობას ვიწყებთ.

სორელმა მოგვიბოდიშა, მეჩქარებაო და მანქანასთან მომლოდინე პატრიკ ფორი გაგვაცნო. ცხადია, დრო ვიხელთეთ და მასაც მივმართეთ რამდენიმე კითხვით.

**— რამ განაპირობა თქვენი არჩევანი?**

— ეს სორელის დამსახურებაა. მან შემომთავაზა საქართველოში მუშაობა და მეც უმალ დავთანხმდი. კლოდი თავისი საქმის პროფესიონალია და ურიგო წინადადებით არ მომმართავდა.

**— თქვენს კარიერაზე მოკლედ რას გვეტყვით?**

— ვთამაშობდი „ბეზიეში“, ოთხჯერ გავხდი საფრანგეთის ჩემპიონი. აქედან ორჯერ მწვრთნელი კლოდ სორელი იყო. მაშინ დავმეგობრდით და დღემდე ახლობლები ვართ. რაგბის თამაშს თავი რომ დავანებე, რამდენიმე ფრანგულ კლუბში ვმუშაობდი უკანახაზელების მწვრთნელად, ახლა კი ჩემს გამოცდილებას საქართველოს ნაკრებს მოვახმარ.

**— საქართველოს ნაკრების თამაში თუ გინახავთ?**

— მხოლოდ ვიდეოფირზე და ძირითადად შვიდკაცა ნაკრების, სადაც უკეთ ჩანს უკანა ხაზის ხარვეზები. ცხადია, მეც შევნიშნე რაღაცეები და რამდენიმე ნაკლიც შევნიშნე, რომელთა მალე გამოსწორებისთვისაც ვარ აქ.

**— ზოგი ფიქრობს, რომ შვიდკაცა ნაკრებში ეროვნული გუნდის მორაგბემ არ უნდა ითამაშოს, ზოგიც საპირისპიროს ამტკიცებს. თქვენ, როგორც უკანახაზელების მწვრთნელი, რომლებითაც ძირითადად კომპლექტდება შვიდკაცა ნაკრები, რა აზრის ხართ რაგბის ამ სახეობაზე?**

— მე ვეკუთვნი იმ კატეგორიას, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ შვიდკაცა რაგბი უკანახაზელის დაოსტატებას უწყობს ხელს. შვიდკაცაში მორაგბე ხელით თამაშს აუმჯობესებს, რაც მერე 15-კაცა რაგბიში ძალიან გამოადგება. თვით სამხრეთნახევარსფეროელები მიხვდნენ, რომ შვიდკაცა აუცილებელია და რამდენიმე ტაქტიკური ელემენტი 15-კაცა რაგბიშიც გადაიტანეს. არადა, სამხრეთელები შვიდკაცას ყველაზე დიდი კრიტიკოსები იყვნენ. საქართველოს ნაკრებში მუშაობისას შვიდკაცას განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობ.

**ბაჩო სვანიძე**



ბორჯღალოსნები ბათუმისკენ დაიძრნენ

# შეირყა ფიჯური ავტორიტეტი ახალზელანდიური ტვინი

*მიყოლებით მესამე სარაგბო უქმეები ისე მიილია, ექვსი ერის ჩემპიონმა საფრანგეთმა ტესტ-მატჩი ვერ მოიგო. სამხრეთნახევარსფერომოვლილ ბერნარ ლაპორტს ფრანგული მედია აუჯანყდა და ნაკრების მწვრთნელის გადადგომას ითხოვს. „ოლ ბლექსის“ ვარსკვლავ კრისტიან კალენს კი მისალოცად აქვს საქმე: გუნდის უპირველესი მელელოვე გახდა.*



ანდრე პრეტურიუსმა არგენტინელების ცოდვით გაიხარა

### ველინგტონი

**ახალი ზელანდია 68:18 ფიჯი**

**ახალი ზელანდია: 11 ლ: ქალენი (3), პოულიტი, მიუსი (2), მაქსველი (2), მაკდონალდი, მაუგერი, რობერტსონი; 5 გ: მაუგერი; 1 ს: მაუგერი**

**ფიჯი: 2 ლ: ლიგაირი (2); 1 გ: ლიტლი, 2 ს: ლიტლი**

ახალზელანდიელმა ზეუკანახაზელმა, 26 წლის კრისტიან ქალენმა ფიჯელებს 3 ლელო გაუტანა და 54 სანაკრებო მატჩში 46 ლელო დაუგროვდა. ამით ქალენი „ოლ ბლექსის“ უპირველესი მელელოვე გახდა. მანამდე ყველაზე მეტი, 44 ლელო ჯეფ უილსონს გაუტანია. ამასთან, ქალენი „ოლ ბლექსის“ მეორე ბომბარდირია 236 ქულით. ბომბარდირებს ენდრიუ მერთენსი ლიდერობს 848 ქულით.

მეზობელთა ჯახი ბოლო წუთებზე ამტყდარი ჩხუბით დაგვირგვინდა და რომ არა სტადიონის დაცვა, მოჩხუბარნი კიდევ დიდხანს გააგრძელებდნენ მუშტების ქნევას. მანამდე ზელანდიელებს დაემტვრათ გუნდის ლიდერები — ლეონ მაკდონალდი, ტანა უმაგა, ენდრიუ მერთენსი და ტინ რენდალი. მაკდონალდი სულაც საავადმყოფოში გააქანეს, რაკი ფიჯელმა ნიკი ლიტლმა თავში მუშტი ჩასცხო და ტვინის შერყევა დამართა.

### იოჰანესბურგი

**სამხრეთ აფრიკა 49:29 არგენტინა**

**სამხრეთ აფრიკა: 6 ლ: იაკობსი, დავიდსონი, ტერბლანი (2), პრეტორიუსი, კონრადი; 5 გ: პრეტორიუსი; 3 ს: პრეტორიუსი**

**არგენტინა: 2 ლ: ლობე, ტექნიკური; 2 გ: კესადა; 5 ს: კესადა**

მატჩი ისე არ ჩაივლის, „ქურციკებში“ ვინმე განსაკუთრებით არ გამოირჩეს. ახლაც გუნდის ლიდერობა გამთამაშებელმა ანდრე პრეტორიუსმა იკისრა მაშინ, როცა არგენტინელებმა 14-ქულიანი ჩამორჩენა 8-მდე შეამცირეს, და ანგარიში 37:29 იყო აფრიკელთა სასარგებლოდ, პრეტორიუსმა სტუმართა მცველებს ჩაუდრიბლინგა და, როგორც იქაური ჟურნალისტები ამბობენ, ულამაზესი ლელო გაიტანა. პრეტორიუსმა კიდევ 5 გარდასახვა და 3 საჯარიმო შეაგდო და თავისიანებს მოაგებინა.

### სიდნეი

**ავსტრალია 31:25 საფრანგეთი**

**ავსტრალია: 4 ლ: მორტლოკი (2), ბერკი, ჰერბერტი; 1 გ: მორტლოკი; 2 ს: მორტლოკი, ბერკი; 1 ა: გრეგანი**

**საფრანგეთი: 3 ლ: რუჟერი (2), მარკონე; 2 გ: მერსერონი; 2 ს: მერსერონი**

ექვსი ერის ჩემპიონი და ევროპული რაგბის ამჟამინდელი ყოჩი, საფრანგეთის ნაკრები, ეტყობა, მარტო ბებერ კონტინენტზე ყოჩაღობს, თორემ აგერ, მიყოლებით მესამედ წააგო სამხრეთულ გუნდთან.

ლაპორტის მიმართ კი დღითი დღე მძლავრობს ფრანგი ჟურნალისტების ანტიპათია. იქაური ჟურნალ-გაზეთები ექვსი ერის მომგები მწვრთნელის გადადგომას ითხოვენ. ლაპორტი კი იბტიბარს არ იტეხს და ნამატჩევს განაცხადა, შავი და თეთრი მსოფლიოს თასზე გამოჩნდებაო.

**ბაჩო სვანიძე**



ზედიზედ სამმა მარცხმა ფრანგთა კაპიტან რაფაელ იბანესს თავში ხელი წაშენინა

ოქროს ლიგა. ოსლო 28 ივნისი

# რეკორდსმენი დაიბრიტა

## დივერსიც კი გაოცებულია, ამხნის ქალი რა კარგად დავრბივარო



მარიონ ჯონსი

**ოქროლიგის** პირველ რაუნდამდე ყველას ის აინტერესებდა, შეძლებდა თუ არა ტიმ მონტგომერი მორის გრინისგან დედამიწის უსწრაფესი კაცის ტიტულის ჩამორთმევას. რაუნდის მერე კი ყველა ბრიტანელ დუეინ ჩემბერსზე ლაპარაკობდა — კაცზე, რომელიც ოსლოურ „ბიშლეტზე" ერთზეც სწრაფი გამოდგა და მეორეზეც.

გრინის რეკორდი 9,79 წამია, მონტგომერის შარშანდელი საბიშლეტო მონაგარი კი 9,84 წამი იყო. ტიმი იქადნიდა, რომ წლეულს ამ დროს რამდენიმე ათეულს კიდევ ჩამოაკლებდა.

ვერ ჩამოაკლო.

მორბენლებს კი ნორვეგიულ სიგრილეს შემოსწყრა და სადაც ქარია, იქ უფრო ჯანიანები იმარჯვებენო, აი, ეგეთი საეჭვო დებულებაც ჩამოაყალიბა. ჯანიანებში, ცხადია, ჩემბერსს გულისხმობდა.

კაცებზე ადრე კი ქალებმა გაიასმეტრეს და ამერიკელმა მარიონ ჯონსმა უდრტვინველად მიითვალა პირველი ოქროლიგური წარმატება. გასარბენი მან 10,96 წამში გაირბინა და ერთი მკერდით აჯობა ფინიშთან მისმომდევნოდ მისულ იამაიკელ ტანია ლოურენსსა და ამერიკელ კრისტი გეინსს.

ერთმილიან სირბილში პირველობა არავის დაანება მაროკოელმა რეკორდსმენმა ჰიშამ ელ გურუჯიმ. რბოლამდე მაღრიბელი ფანობას მის მიერ სამი წლის წინ რომში დამყარებული რეკორდის (3 წუთი, 43,13 წამი) გაუმჯობესებას ალუთქვამდა და, მართალია, კაცურად იჭენავა, მაგრამ ოდენ წლის საუკეთესო შედეგს გამორჩა.

წლის საუკეთესო შედეგითვე დასრულდა ქალთა 5-კილომეტრიანი მარულაც, სადაც უნგრელმა გაბრიელა საბომ ეთიოპელ ბერჰანე ადერეს უკანასკნელ 200-მეტრიან მონაკვეთზე გადაუსწრო და წამმზომში 14 წუთსა და 46,86 წამზე გააქვავა.

თუმცა ქალთა მხარეს ყველაზე დიდი რია-რია მაინც სახელოვანი ამერიკელის, გეილ დივერსის მიერ 100 მეტრზე თარჯრბენში განავარდებას ახლდა.

35 წლის ორგზის ოლიმპიურმა მეოქროვემ მართლაც საუცხოოდ ირბინა და წინა კვირაში კალიფორნიაში მოგებულ ამერიკულ მერვე ტიტულს ამ გამარჯვებით მეტი დამაჯერებლობა შესძინა.

გაოცებული ვარ დროით, ტექნიკურად მართლაც როგიანად ვირბინე, ერთ თარეჯსაც არ შევხებივარო, იძახდა მერე.

სულ ბოლოს კი ქომაგთა ყურადღება ისევ კაცთა მხარეს, სამხტომის სარბიელზე გადაიხიდა. შვედ კრისტიან ოლსონს მსოფლიოს ბრიტანელმა რეკორდოსანმა (18,29 მეტრი) და ოლიმპიურმა მეოქროვე ჯონათან ედვარდსმა მხოლოდ მეოთხე ცდაზე აჯობა. მის 17,51-მეტრიან შედეგამდე ოლსონს 4 სანტიმეტრი დააკლდა.

ნასამხტომევს 36 წლის ბრიტანელი იმას ამბობდა, რომ წლეულს მასსა და შვედს შორის გამორჩეული პაექრობის იმედი უნდა გვქონდეს. ჩვეულებრივ, როცა მჭირდება, კიდევ 30 სანტიმეტრით ვზრდი შედეგსო, დასძენდა იგი, მაგრამ ეს ამბავი მხოლოდ კრისტიანთან არ ჭრისო. „თუ დასჭირდა, თავადაც გაზრდის. ამიტომ ამ სეზონში შეუპოვარი შეხლა გვექნება" — ამბობდა ედვარდსი.

| ვაჟები | |
|---|---|
| **100 მეტრი** | |
| 1. დუეინ ჩემბერსი (ბრიტანეთი) | 10,05 |
| 2. მორის გრინი (აშშ) | 10,06 |
| 3. ტიმ მონტგომერი (აშშ) | 10,10 |
| **1 მილი** | |
| 1. ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო) | 3.50,12 |
| 2. ლაბან როტიჩი (კენია) | 3.51,99 |
| 3. დავიდ კიპლაკი (კენია) | 3.52,42 |
| **ქალები** | |
| **100 მეტრი თარჯრბენი** | |
| 1. გეილ დივერსი (აშშ) | 12,53 |
| 2. ბრიჯიტ ფოსტერი (იამაიკა) | 12,79 |
| 3. გლორი ალოზი (ესპანეთი) | 12,85 |

## გრან პრი II შეფილდი 30 ივნისი


ამ კაცმა, ფილიპს იდოვუმ თვით ჯონათან ედვარდსს აჯობა

**შეფილდური** გრან პრის უმთავრეს მოვლენად 100 მეტრზე კაცთა რბენა მიიჩნეოდა, სადაც ოლიმპიურსა და მსოფლიოს ჩემპიონ მორის გრინს ბრიტანელი დუეინ ჩემბერსისგან ორი დღით ადრე, ოსლოურ სარბიელზე ნაწვნევი მარცხი უნდა ერევანშა.

რევანში ვერ შედგა. აშკარად ფორმაში ვერ მყოფ რეკორდოსანს 24 წლის ბრიტანელი სადღაც რბენის შუაწელზე გაექცა და, როცა წამმზომებმა მათი შედეგები „ჩამოყარეს", გრინს თურმე მასზე წამის 29 მეასედით მეტხანს ერბინა!

ამ 29 მეასედში კიდევ ოთხი მორბენალი მოთავსდა. ამათგან გამორჩევით აღსანიშნი მეორე-მესამე ადგილოსნები — ლუის-ფრენსისი და გარდნერი იყვნენ, რომელთაც ჩემბერსთან ერთად ყოვლადბრიტანული კვარცხლბეკი შეადგინეს.

ახლა და თან ასეთი დროით მოგება ჩემს თვითრწმენას დიდად წაადგაო, იძახდა ნარბენევს ჩემბერსი. საერთოდ კი, ჩვენი მიზანი ისაა, ამერიკელთა რბენას მულამი დავუჭიროთ და მათთან სავარჯიშოდ ამდენი ხანი სწორედ ამიტომ დავყავით — მერე ასეც დასძენდა.

იმის გამო, რომ რბენისას ძლიერი ზურგქარი უბერავდა, ჩემბერსს საუკეთესო პირად მაჩვენებლად კვლავაც ძველი 9,97 წამი დაურჩა.

რაც შეეხება გრინს, ზედიზედ ორჯერ მას 1998 წლის შემდეგ აღარ წაეგო. თუმცა ფინიშის მერე მაინც მშვიდობდა და, ეგეთები მომხდარაო, იხტიბარი არ გაუტეხავს.

სამაგიეროდ, ჩემბერსი უხიკინებდა — წარმოიდგენია, რა დღეშია, ბრიტებმა რომ აჯობესო. „როცა ფორმაში შევა, კვლავ შევხვდები და გჯეროდეთ, ვერც მაშინ გადამირჩება".

მერე კი იყო რბენა 200 მეტრზე, რომელიც ოთხგზის ოლიმპიურმა ვერცხლოსანმა, ნამიბიელმა ფრენკი ფრედერიკსმა მოიგო. ჩემბერსმა აქაც ირბინა, მაგრამ რაკილა დასასვენებლად მხოლოდ 45 წუთი ჰქონდა, ამჯერად მეორე ადგილს დასჯერდა.

თვისტომისგან 1997 წლის შემდეგ უწვნევი მარცხი იწვნია სამხტომში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ბრიტანელმა ჯონათან ედვარდსმა. მას ფილიპს იდოვუმ აჯობა. მასთან ერთად ჯომარდი უდიდესი პატივია, მაგრამ დაუმარცხებელი არავინააო, ყოყოჩობდა მერე იდოვუ.

სხვაფრივ — რუსმა სერგეი მაკაროვმა შუბი ისე ღონივრად გაიქნია, შუბოსნობის ისტორიაში მესამე ტყორცნას გამორჩა. 400 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ბაჰამელი ჩემპიონი ავარდ მონკური მხოლოდ მეხუთე ადგილს დაჰყაბულდა, 110 მეტრზე თარჯრბენში ყველას მოულოდნელად ამერიკელმა ლარი უეიდმა გადაუსწრო, ხოლო დიადმა მაროკოელმა ჰიშამ ელ გურუჯიმ თავის 68-ე კილომეტრნახევრიან რბოლაში 65-ე გამარჯვება მიითვალა.

ქალთა მხარეზე ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონის ღირსება კვლავაც კაცურად შეინახა მოზამბიკელმა ძუ ლომმა მარია მუტოლამ, რომელმაც 800-მეტრიანი რბოლის ფინიშზე კადნიერ სლოვენიელ იოლანდა ცეპლაკს უყელა.

**ლევან ძელაშვილი**

| ვაჟები | |
|---|---|
| **შუბის ტყორცნა** | |
| 1. სერგეი მაკაროვი (რუსეთი) | 92,61 მ |
| 2. იან ჟელეზნი (ჩეხეთი) | 87,77 |
| 3. სტივ ბეკლი (ბრიტანეთი) | 84,93 |
| **100 მეტრი** | |
| 1. დუეინ ჩემბერსი (ბრიტანეთი) | 9,95 |
| 2. მარკ ლუის-ფრენსისი (ბრიტანეთი) | 9,97 |
| 3. ჯეისონ გარდნერი (ბრიტანეთი) | 10,11 |
| **200 მეტრი** | |
| 1. ფრენკი ფრედერიკსი (ნამიბია) | 20,29 |
| 2. დუეინ ჩემბერსი (ბრიტანეთი) | 20,38 |
| 3. კიმ კოლინზი (სენტ კიტსი და ნევისი) | 20,60 |
| **110 მეტრი თარჯრბენი** | |
| 1. ლარი უეიდი (აშშ) | 13,36 |
| 2. სტანისლავ ოლიარი (ლატვია) | 13,37 |
| 3. კოლინ ჯექსონი (ბრიტანეთი) | 13,43 |
| **1 500 მეტრი** | |
| 1. ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო) | 3.40,20 |
| 2. მაიკლ ტოო (კენია) | 3.41,03 |
| 3. ენდრიუ გრეფინი (ბრიტანეთი) | 3.41,54 |
| **სამხტომი** | |
| 1. ფილიპს იდოვუ (ბრიტანეთი) | 17,34 მ |
| 2. ჯონათან ედვარდსი (ბრიტანეთი) | 17,06 |
| 3. ჩარლზ ფრიდეკი (გერმანია) | 16,96 |
| **ქალები** | |
| **100 მეტრი** | |
| 1. ტანია ლოურენსი (იამაიკა) | 11,09 |
| 2. დები ფერგიუსონი (ბაჰამები) | 11,13 |
| 3. კელი უაიტი (აშშ) | 11,25 |
| **200 მეტრი** | |
| 1. ლორენ ჰიუიტი (ავსტრალია) | 23,23 |
| 2. სიდონია მონტრესვილი (კაიმანები) | 23,34 |
| 3. სიარა შიი (ირლანდია) | 23,51 |
| **800 მეტრი** | |
| 1. მარია მუტოლა (მოზამბიკი) | 2.00,84 |
| 2. იოლანდა ცეპლაკი (სლოვენია) | 2.00,93 |
| 3. ნიკოლ ტიტერი (აშშ) | 2.01,58 |




„სილვერსტოუნის" პირველი ტრიუმფატორი ჯუზეპე „ნინო" ფარინა

# ფორმულას თავისი 13 მაისი აქვს

**კვირას** გამორჩეული მნიშვნელობის საფორმულო ეტაპი გაიმართება, 53-ედ გათამაშდება დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი.

სწორედ ინგლისში, სილვერსტოუნის სამხედრო აეროდრომის მიდამოებში ჩატარდა 1950 წლის 13 მაისს ფორმულა 1-ის პირველი ჩემპიონატის პირველი რბოლა. პოდიუმის სამივე საფეხური დაიკავეს იტალიური „ალფა რომეოს" პილოტებმა ჯუზეპე ფარინამ, ლუიჯი ფაჯიოლიმ და რეჯი პარნელმა. ალბიონი მას აქეთ ერთხელაც არ დარჩენილა თამაშგარეთ, ანუ სამეფო რბოლების ეტაპის გარეშე. ეგაა, „სილვერსტოუნს" მასპინძლობაში ხან „ეინტრი" ეცილებოდა, ხანაც „ბრენდს ჰეჩი".

აშკარად მობერებულ „სილვერსტოუნზე" წლევანდელი რბოლის ჩატარება კარგა ხანს საეჭვო იყო. მიზეზი ტრასის უხარისხობა კი არა, ავტოდრომთან მისასვლელი ვიწრო გზების მანქანებით ჩახერგვა გახდა. რამდენიმე საათიანი „საცობების" გამო ათასობით გულშემატკივარი რბოლაზე დროულად მისვლას ვერ ახერხებდა. მაყურებელთა სამართლიანი აღშფოთება საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ხელმძღვანელობამ, ცხადია, ყურად იღო და ინგლისელებს უმოკლეს ვადაში ვითარების გამოსწორება დაავალა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეტაპის ჩამორთმევით და უზარმაზარი ფულადი ჯარიმით დაემუქრა. საქმეში თვით დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერიც ჩაერთო, სარეკონსტრუქციოდ საჭირო 15 მილიონი დოლარიც უცებ გამოინახა და უკვე მწყობრშია რამდენიმე ფართო შარა, აგრეთვე მანქანების დასაყენებელი ახალი, ვრცელი ტერიტორია.

ინგლისში, შეიძლება ითქვას, საკმაოდ მოკრძალებულად ასპარეზობს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი. „სილვერსტოუნზე" ცხრაჯერ კი გაიჯირითა, მაგრამ მხოლოდ ერთხელ შეძლო გამარჯვების მოპოვება და კიდევ სამჯერ იდგა პოდიუმზე. შედეგიანობით მას სჯობნის დღემდე უტიტულო დევიდ კულტჰარდი. შოტლანდიელმა ორჯერ დაისაკუთრა მშობლიური პრიზი, სულ კი ექვსი ქულიანი ფინიში ჰქონდა.

მიუხედავად ამისა, მომავალ რბოლაში უმთავრეს ფავორიტად ითვლება მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერი მიხაელ შუმახერი, რასაც თავად კულტჰარდიც არ უარყოფს: „ყველაფერი ნათელია — მიხაელი უდიდესი პილოტია და თანაც საუკეთესო მანქანა აქვს, ჩემი „მაკლარენი" კი წლეულს აშკარად ვერაა სათანადო დონეზე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე დავძლევთ ამ მძიმე პერიოდს და გაისად პირველობის რეალური პრეტენდენტები ვიქნებით. სადღეისოდ კი ჩემი უმთავრესი ამოცანა ვიცე-ჩემპიონობისთვის ბრძოლაა".

მიხაელ შუმახერი: „რუბენს ბარიკელომ „სილვერსტოუნის" წინა ტესტებზე ჩინებულ შედეგებს მიაღწია. რუბენსიც და მეც სრულ მზადყოფნაში ვხვდებით ინგლისურ ეტაპს, ჩვენი ბოლიდებიც შესანიშნავ, საიმედო ფორმაშია და წარმატების იმედიც გვაქვს. ჩემპიონატში „ფერარის" სადღეისო უზარმაზარი უპირატესობის მიუხედავად, მაინც ყურადღებით უნდა ვიყოთ, რადგან სეზონის ფინიშამდე ჯერ კიდევ ბევრი, რვა რბოლაა და ყველაფერი შეიძლება მოხდეს".

**გია ახალაძე**



ინგლისში შედეგიანობით დევიდ კულტჰარდი მიხაელ შუმახერზე მაღლა დგას

ეროვნული ბიბლიოთეკა



კრამნიკმა ბაკროს საჭადრაკო დავალიანება შეაფერხა

# რუსი და სამი მუშკეტერი

## ჩემპიონმა ნოკაუტი ნოკაუტით მოიგო

**პარიზის** საჭადრაკო კლუბი NAO გახლდათ აქტიური მონაწილე და ფულის ჩამოსვლის ერთ-ერთი გარანტი პრაღის იმ ცნობილ თათბირზე (ამა წლის 6 მაისს), რომელზეც მსოფლიოს ჭადრაკის გამთლიანება გამოცხადდა ალრინდელი მტრების ერთ მაგიდასთან მოხვედრითა და დიდ საჭადრაკო პერსონათა ხელრთვებით. პრაღაში გადადგმულ ნაბიჯებს უხვად კრიტიკოსები ჰყავს, რაც ბუნებრივია და კლუბი NAO კი აგრძელებს იმის ჩვენებას, რომ ბრძენთა თამაშისთვის ფინანსები არ ენანება.

29-30 ივნისს პარიზში „გრან პრი დიუ სენატ" გაიმართა, ანუ ოთხთა ტურნირი სწრაფ ჭადრაკში ერთი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ ვლადიმირ კრამნიკისა და 3 რჩეული ფრანგის მონაწილეობით. მუშკეტერებს ჰქვიათ ეტიენ ბაკრო, ჟოელ ლოტიე და ლორან ფრესინე. ცხადია, მთავარი ფავორიტი კრამნიკი იყო და მოვლენათა მსვლელობამ ეს სტატუს-კვო ვერ შეარყია.

ტურნირი საუქმო იყო. შაბათ-კვირას მოჭადრაკეებმა სწრაფი ჭადრაკის ორ-ორი პარტია ითამაშეს: ნახევარფინალები, მატჩი მე-3 ადგილისთვის, ფინალი და ეს ყველაფერი „ნოკაუტსისტემის" წესებით, რომელსაც მზის ქვეშ ადგილის ძებნა უკვე აღარ უნდა, მსოფლიოს ჭადრაკმა მიიღო.

ნახევარფინალში კრამნიკს ბაკრო დაუპირისპირდა. საფრანგეთის სამგზის ჩემპიონმა, ვინც ერთხანს ზურაბ აზმაიფარაშვილის მოწაფე იყო, წინაალმდეგობა გასწია, მაგრამ არა უმეტეს... თეთრებით ყაიმის შემდეგ ჩემპიონმა შავებით აწყვეტა ინდომა და ფიგურის ეფექტური შეწირვით ბაკროს მეფის ფრთა გაანადგურა. თეთრების ხელმწიფე შიშვლად იდგა კბილდაკრეჭილი შავების წინ და როცა იმათ ეტლიც მიიმატეს, ალრიალდა, გნებდებითო. ღრიალის მომენტი დიაგრამაზე იხილეთ.

იქით ფრესინემ გასაკვირად მოუგო ლოტიეს. აქ გაკვირვების ნიშანი რეიტინგ-ლისტიდან გამომდინარე დავსვით და ფინალში კი ფრესინე საპყარი იყო კრამნიკის მადიანი თამაშის ფონზე. ორივე პარტია კრამნიკმა ენდშპილში მოიგო, სადაც ეტლები კარგ ხანს ხაზავდნენ დაფის მთელ პერიმეტრს. ერთ პარტიაში კრამნიკმა ზედმეტი პაიკი გამოიყენა, მეორე პოზიციურად მოიგო.

მე-3 ადგილი — ჟოელ ლოტიეს.

**დავით გულუა**




# საქართველოს შიტორიუ კარატე-დო კოფუკანის კლუბი „სოდანი"

აცხადებს გოგონებისა და ვაჟების მიღებას 7-წლიდან

ვარჯიშებს გაუძღვებიან მაღალკვალიფიციური I და III დანის ინსტრუქტორები, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი.

*გთხოვთ, მობრძანდით*

ვარჯიშები ტარდება:

მეტრო ელექტრო დეპოსთან

ტრიკოტაჟის ფაბრიკის ტერიტორიაზე

ორშაბათი, ოთხშაბათი პარასკევი საღამოს 16 - 18 საათი

ცნობებისათვის დარეკეთ 69-78-55




# ვინ? მე?!

## ჟოზე თეოდორს ჟოზე თეოდორი გაუკვირდა

**„ჰარტ ტროფის"** მფლობელი... ჟოზე თეოდორი!" — ბრძანა ჯილდოთა გადაცემის ცერემონიალზე საგანგებოდ მიწვეულმა უეინ გრეცკიმ. პირთამდე სავსე ტორონტოს „დიდების დარბაზს" ხმაურის ტალღამ გადაუარა. ოვაციებთან და სიხარულთან ერთად აქა-იქ ამ გადაწყვეტილებით განცვიფრებულთა წამოძახილებიც გაისმა, ზოგმა სტვენაც კი იკადრა... ასეთი არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა მონრეალელი ჟოზე თეოდორის სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ აღიარებას.

ბევრს ეგონა, რომ ეს პატივი პატრიკ რუას ან ჯერომ იგინლას ერგებოდა, უფრო მეორეს, რადგან შავკანიანმა, მამით ნიგერიელმა ფორვარდმა სეზონი საუცხოოდ ჩაატარა — 52 გოლითა და 96 ქულით ბადალი არ ჰყავდა, თან ოლიმპიადაზეც გაიბრწყინა. არადა, ამ ცერემონიალამდე ერთი დღით ადრე მოთამაშეთა ასოციაციამ (NHLPA) უძვირფასეს მოთამაშედ სწორედ იგინლა აღიარა და მას **„ლესტერ ბ. პირსონ ავარდი"** უბოძა, ამიტომაც, იგინლას თითქმის ყველა გამარჯვებულად თვლიდა, თუმც ჰოკეიზე ჩრდილოამერიკელ მწერალთა ასოციაციამ სხვაგვარად განსაჯა — ლიგის მთავარი პრიზი „წმინდა ჟოზეს" არგუნა. რა გვეთქმის. ამ სეზონში თეოდორმაც ბრწყინვალედ ითამაშა, რაც მთავარია, თავისი მონრეალი პლეი ოფში გაიყვანა, იგინლამ კი ეს ვერ შეძლო.

ისე, არც იგინლა დარჩენილა ხელცარიელი. „ლესტერზე" უკვე გითხარით. სეზონის საუკეთესო ბომბარდირს (ქულების რაოდენობით) და მეგოლეს **„არტ როლ ტროფი"** და **„მორის რიშარ ტროფი"** ერგო.

„ფეხები ისე დამისუსტდა, ცოტაც და დავეცემი. დილით ის მიხაროდა, რომ ცერემონიალზე მიმიწვიეს და უცებ უეინმა ჩემი გვარი დაასახელა. არა, გონს ჯერაც ვერ მოვსულვარ, არ მჯერა" — ჩანს, პრეტენდენტთა სამეულში თეოდორი საკუთარ თავს აუტსაიდერად თვლიდა.

და, ისევ თეოდორი... ჟოზე საუკეთესო მეკარისთვის განკუთვნილი **„ვეზინა ტროფის"** ტიტულის მაძიებელთა შორისაც მეორე პრეტენდენტად ალიქმებოდა, უმრავლესობა რუას გამარჯვებას ელოდა. კარიერის მიწურულს მიახლოვებულმა კოლორადოელმა თავისი საუკეთესო რეგულარული ჩემპიონატი ჩაატარა და მაინც... აქაც პირველობა თეოდორს ხვდა წილად. ასე შეასრულა „წმინდა ჟოზემ" დუბლი და დომინიკ ჰაშეკის შემდეგ მეორე მეკარე შეიქნა, რომელმაც ბოლო 40 წლის განმავლობაში „ჰარტი" მოიპოვა. გარდა ამისა, 1978 წლის შემდეგ თეოდორი პირველი მონრეალელია, ვინაც ლიგის ყველაზე პრესტიჟული ინდივიდუალური პრიზი მოიპოვა. 24 წლის წინ ეს ლეგენდარულმა გი ლეფლერმა მოახერხა.

ცერემონიალის დამთავრების შემდეგ გაირკვა, რომ ორივე პრიზისთვის ჩატარებულ გამოკითხვაში თეოდორმა იმდენივე ქულა დააგროვა, რამდენიც მისმა კონკურენტებმა, მაგრამ ორჯერვე პირველი ადგილების მეტი რაოდენობით იმარჯვა.

პარადოქსია, რომ ჟოზე თეოდორი სეზონის საუკეთესო ექვსეულშიც ვერ მოხვდა, მისი ადგილი რუამ დაიკავა. 2001-02 წლების სეზონის სიმბოლური გუნდი ასე გამოიყურება: *მეკარე — პატრიკ რუა (კოლორადო); მცველები — ნიკლას ლიდსტრომი და კრის ჩელიოსი (ორივე დეტროიტი); გარემარბები — ჯერომ იგინლა (კალგარი) და მარკუს ნესლუნდი (ვანკუვერი); ცენტრფორვარდი — ჯო საკიკი (კოლორადო)*

რაც შეეხება დანარჩენ ნომინაციებს, აქ ისეთმა ხალხმა გაიმარჯვა, ვისგანაც მოსალოდნელიც იყო.

საუკეთესო მცველისთვის განკუთვნილი **„ნორის ტროფი"** ხელიხელ მეორედ წილხვდა ლიდსტრომს. 32 წლის შვედი სტენლის თასის MVP-ც გახდა და საერთოდაც ერთადერთი ევროპელია, ვისაც „ნორისი" მოუგია. ლიდსტრომმა გამოკითხვაში თანაგუნდელ კრის ჩელიოსს გაუსწრო.

ასევე ორი თანაკლუბელის ჭიდილში გაირკვა **„კოლდერ ტროფის"** მფლობელიც. საუკეთესო ახალბედად დამსახურებულად აღიარეს ატლანტელი დანი ჰიტლი, რომელმაც ილია კოვალჩუკს გაუსწრო. რუსმა 29 გოლი გაიტანა, მაგრამ ტრავმის გამო ვერ ჩაამთავრა სეზონი.

„რაც მთავარია, შევძელით ნერვების მოთოკვა და სიმშვიდის შენარჩუნება. სადებიუტო სეზონი ამიტომაც ჩავატარეთ წარმატებით, — აღნიშნა ჰიტლიმ, რომელმაც ჩემპიონატი უხვი მონაგრით — 67 ქულით (26 გოლი, 41 პასი) დაასრულა და გუნდის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

თეოდორის გარდა დუბლი შეასრულა კაროლინელმა რონ ფრენსისმაც. მას ორი პრიზი — **„ლედი ბინგ ტროფი"** და **„კინგ კლენსი მემორიალ ტროფი"** ერგო. პირველი ყველაზე ჯენტლმენურად მოთამაშეს ეძლევა და ფრენსისი მას უკვე მესამედ დაეუფლა (მანამდე 1995 და 98 წლებში). აი, მეორე ჯილდო კი ყინულსგარე ჯენტლმენობისთვის, უფრო ზუსტად კი ქველმოქმედებით გამორჩეულთათვისაა. ფრენსისი თურმე დღემდე პატრონობს თავის გონებრივად ჩამორჩენილ ძმას და ასევე უანგაროდ ეხმარება ერთ-ერთ ამერიკულ ჰოსპიტალს.

**„ფრენკ ჯ. სელკე ტროფი"** ხუთწლიანი პაუზის შემდეგ მაიკ პეკამ მოიგო. მან აილენდერსში გადასვლის შემდეგ გამოიჩინა თავი, როგორც ლიგაში ყველაზე მარჯვედ დამცველმა ფორვარდმა. მან ამ ტიტულისათვის მებრძოლი კალგარელი კრეიგ კონროი ჩამოიცილა გზიდან.

საუკეთესო მწვრთნელად ფინიქსელი ბობ ფრენსისი აღიარეს. **„ჯეკ ადამს ტროფის"** ახალმა ლაურეატმა უდავოდ დაიმსახურა ეს ტიტული, ვინაიდან წლეულს პრაქტიკულად სრულიად განახლებული, უვარსკვლავო გუნდი პლეი ოფში გაიყვანა. მისი მთავარი კონკურენტი ჩიკაგოელი ბრაიან სატერი გახლდათ.

არანაირ ეჭვს არ იწვევდა **„ბილ მასტერტონ ტროფის"** მფლობელის ვინაობა. უმძიმესი დაავადების, სიმსივნის მკურნალობის შემდეგ ჰოკეიში დაბრუნდა მონრეალელი საკუ კოივუ, რითაც თავისი დიდი ნებისყოფა და სპორტისადმი ერთგულება დაამტკიცა. ეს პრიზიც ყველაზე ნებისყოფიანებისთვისაა განკუთვნილი.

**სამველ ღარიბიანი**



მონრეალელი ჟოზე თეოდორი თავისი წყვილი პრიზით



ატლანტელ დანი ჰიტლის კაიბიჭობა შეუქეს



კალგარელი ჯერომ იგინლა კოლეგებმაც დააფასეს და ჟურნალისტებმაც

## უიმბლდონი 2002

# უიმბლდონის ცუღლუტობანი

## გრძელია ფეხი, გრძელია რიგი, სავსეა მკერდი, სავსეა ტრიბუნა

ავთანდილ სვანიძე

ლონდონიდან



### ბრატისლავური ფეხები

ორშაბთ საღამოს „ოლ ინგლენდ კლაბის" პატარა, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავ მე-18 კორტზე ნემსის ჩასავარდნ ადგილს ვერ მოძებნიდა კაცი. ეგ კი არა, სატელევიზიო კომპლექსის ფერადი ფანჯრების თავზე და ზემოდან გადმომყურე გორაკზე ძირითადად ძლიერი სქესის წარმომადგენლები ბარე ოთხ რიგად ჩამწკრივებულიყვნენ და ხან ფეხის წვერებზე შედგომით, ხანაც მცირედი შეხტომით ცდილობდნენ თვალი მოეკრათ, რა ხდებოდა კორტზე.

თხუთმეტიოდ წუთის მანძილზე უშედეგოდ ვიბრძოლე ტრიბუნებზე შესაღწევად, მაგრამ მატჩის დაწყების შემდეგ ცხადი გახდა, რომ იქ მოკალათებულნი ბოლო გათამაშებამდე ფეხის მომცვლელნი არ იყვნენ. ხელი ჩავიქნიე და უკან გამოვბრუნდი. ხალხის ასეთი მოჭარბება მარჯვედ მოქნეულ ფორჰენდ-ბექჰენდებზე გაცილებით მეტად უიმბლდონელ მაყურებელთა საყვარელი საქმიანობით — აღმოსავლეთევროპელი დიაცების ახლოდან შეთვალიერებით იყო გამოწვეული. ანა კურნიკოვას წაგების მერე ტურნირს შემორჩენილი ზემოხსენებული ჯიშის ორი საუკეთესო წარმომადგენელი — დანიელა ჰანტუხოვა და ელენა დოკიჩი ხვდებოდნენ.

მქუხარე ტაში და მოწონების სტვენა-შეძახილები ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე გაისმა, როდესაც მოთამაშეებმა საწვიმრები შემოიხსნეს და სლოვაკმა ქიპამოჭრილი მაისურა და მინი გამოაჩინა. 19 წლის ჰანტუხოვას მეტსახელი „ბრატისლავური ფეხები" მის გარეგნობას სწორედ რომ ზუსტად შეესატყვისება — ქვედა კიდურები სლოვაკს ლამის ყურებიდან ეწყება. თუმცა გემოვნებაზე არ დავობენ და მკერდსავსე, მუდმივად უკმაყოფილო იერის დოკიჩსაც არანაკლები ერთგული გულშემატკივარი აღმოაჩნდა — მოწინააღმდეგე ბანაკები ჩოგბურთელების მსგავსად პაექრობდნენ თავიანთი ფავორიტის რაც შეიძლება, ხმამაღლა გასამხნევებლად და ერთიმეორის ხმის გადასაფარავად.

შედეგად ყველაზე საცოდავი არსება კორტზე მთავარი მსაჯი გახლდათ, ლამის ყოველ გათამაშებას შორის მაყურებლებისთვის გაჩუმების შეხსენება რამდენჯერმე რომ უხდებოდა. ჩოგბურთი ბევრს არავის აინტერესებდა, მაგრამ თამაშსაც მართლა არა უშავდა — დოკიჩიცა და ჰანტუხოვაც ორივე მხრიდან გამეტებით ურტყამდნენ ბურთს, იქეთ-აქეთ თავქუდმოგლეჯილი დარბოდნენ და კურნიკოვასგან განსხვავებით, გაოფლვის პანიკური შიშიც არ აწუხებდათ.

ჯანი და სისწრაფე დოკიჩს მეტოქეზე არანაკლები მოსდგამს, მაგრამ ხანგრძლივი გათამაშებების ბოლოს სულელური შეცდომების დაშვებაში გაცილებით გაწაფულია. სწორედ ამის გამო იყო, რომ ჰანტუხოვამ მატჩის დასაწყისშივე აართვა მას მოწოდება და პირველი ხელის გამარჯვებამდე მიყვანა არ გასჭირვებია.

უიმბლდონზე წლეულს შერეკილი მამის — დამირის გარეშე მოთამაშე დოკიჩმა (ყოფილი ტაქსისტი და მოკრივე ფლორიდიდან იუგოსლავიაში ახალ სახლში ბარგი-ბარხანის გადმოტანით იყო დაკავებული) მეორე სეტი უკეთ დაიწყო და 4:2 დაწინაურდა, როდესაც მორიგმა თავსხმამ მოთამაშეებს კორტიდან გუდა-ნაბადი ააკრევინა.

წვიმისგან სირბილით გაქცევას სულ რამდენიმე წამი დაჭირდა, მაგრამ ჩოგბურთელებს უკან დაბრუნების მწველი სურვილი ნაკლებად აწუხებდათ — გამოდარებიდან საათზე მეტი გავიდა, მოთმინებადალეულმა მაყურებლებმა ტაშისცემა და ყვირილი რომ ატეხეს და მოთამაშეებს ლამის ძალით უხმეს კორტზე.

თამაშის განახლების შემდეგ დოკიჩმა ძველებურად აურია, ჩვეული კუთვით ბურთები მარჯვნივ-მარცხნივ აუტში გაუძახა და ერთადერთი გეიმის მითვლა მოახერხა — 6:4, 7:5 სლოვაკის სასარგებლოდ.



საამოდ საცქერალთაგან უიმბლდონს დანიელა ჰანტუხოვას ფეხები დარჩა, ელენა დოკიჩის მკერდი კი მოაკლდა



REUTERS უიმბლდონიდან

180-სანტიმეტრიანი ჰანტუხოვა უიმბლდონის დაწყებამდე მავანი გაზეთის გამოკითხვით პლანეტის ყველაზე სექსუალურ ჩოგბურთელ ქალად გამოცხადდა. ბობოლებში სულ ახლახან გარევის მიუხედავად, კურნიკოვასგან განსხვავებით, სლოვაკს ინდიან უელსის პრესტიჟული ტიტული აქვს ანგარიშზე და ცხვირის აწევასაც ჯერჯერობით არ არის დაჩვეული, აქაური ბულვარული პრესის მოთხოვნილებას რაიმე სკანდალურ ან თუნდაც საინტერესო ისტორიაში გახვევის შესახებაც აშკარად ვერ აკმაყოფილებს.

„სანისა" და „დეილი მეილის" ჟურნალისტებმა ბევრი უარეს ირგვლივ ჰანტუხოვას, ათასი მინიშნებითი და ჩამჭრელი კითხვებით სცადეს, რაიმე დაეცდინათ, მაგრამ იმის გარდა, რომ დანიელას ბებია ოდესღაც სლოვაკეთის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი ყოფილა და შვილიშვილის კორტზე დაოსტატებაში დიდი წვლილი დაუდია, ვერც ვერაფერი დაადგინეს.

„ბრატისლავური ფეხები" ან მეტისმეტად გაწაფულია პრესის ინკვიზიციის მოგერიებაში, ან მეტისმეტი გულუბრყვილობით ყველა პირადულ და აშკარად უცნაურ კითხვას როგორღაც ჩოგბურთის კალაპოტში გადააგდებს ხოლმე.

როგორ გრძნობ თავს, როდესაც ამხელა ყურადღებას უთმობენ შენს გარეგნობას, ფეხების სიგრძეს და ასე შემდეგ. ეს არ გაწუხებს?

— ვფიქრობ, ყველაფერი ეს ჩოგბურთში წარმატებას მოყვება თან. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამჟამად სპორტია და მე მეტი არაფერი მაინტერესებს. ვიცი, ხალხს ასეთ რამეებზე საუბარი უყვარს. კარგი ის არის, რომ ჩემს კარგ თამაშსაც არანაკლები ყურადღება ეთმობა.

— ალბათ, შეამჩნიე, რომ მაყურებელთა აშკარა ფავორიტი ხარ, განსაკუთრებით ბიჭების. ეს გსიამოვნებს?

— ამის შემჩნევა ძნელი არ არის, ყოველდღე სულ უფრო მეტი გულშემატკივარი მიჩნდება. ასეთ ატმოსფეროში თამაშს არაფერი სჯობს, მათი მხარდაჭერა მატჩის დროს ძალიან მეხმარება. იმედია, კარგი თამაშით მათაც დიდ სიამოვნებას მივანიჭებ. როდესაც ხალხი ჩოგბურთის საცქერად მოდის, თამაშის გარდა კარგი შოუს ნახვაც სურთ, შეიძლება ჩემი შეხვედრების დროს სწორედ ამას ხედავენ. მთელ ამ ყურადღებას თანდათან ვეჩვევი. რაც უფრო უკეთ ვთამაშებ, ისიც მით უფრო გაიზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმატებას ვაღწევ.

— ჟურნალების ყდაზე გამოჩენისა და სხვადასხვა ნაწარმის რეკლამირების თაობაზე ბევრ წინადადებას იღებ? ყველაზე უცნაური შეთავაზე რა იყო, ვთქვათ, როლი ფილმში ან რაიმე ამაგვარი?

— ბოლო ხანებში მართლაც ათასი რამ ხდება ჩემს ირგვლივ, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ჩემთვის მთავარი ჩოგბურთია, ყველაფერ დანარჩენზე ჩემი მენეჯერები და აგენტები ზრუნავენ. მე მათ ვენდობი და ყურადღება არ მეფანტება. დიდი, უცნაური და წარმოუდგენელი წინადადების თაობაზე რა გითხრათ, ასეთი არაფერი ყოფილა.

— არ გეშინია, რომ ასეთი ყურადღება შენს კარიერაზე უარყოფითად იმოქმედებს?

— ვფიქრობ, ამისთვის კარგად ვარ მომზადებული, ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე. მთავარია, გონი არ დავკარგო, ისევ ძველებურად ბევრი ვივარჯიშო და ყველაფერს თავისით მოველება.

— ამ გამარჯვებას როგორ აღნიშნავ?

— უბრალოდ, კარგი სადილით. ჯერ ზეიმის დრო არ არის, წინ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი შეხვედრა მელის, წესიერად უნდა დავისვენო და სათამაშოდ მოვემზადო.

— აქ ვინ გახლავს, ოჯახის წევრები თუ რომელიმე ახლო მეგობარი?

— ეს ორი კვირაა, ჩემთან მშობლები და მწვრთნელი არიან, მათი აქ ყოფნა ჩემზე დადებითად მოქმედებს, ნაკლებს ვღელავ და დროს მშვიდად ვატარებ.

— როგორც იტყვიან, მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა, თუმცა ბულვარული მას-მედია ასე იოლად არ დანებდება.

### დამლილი დუეტი

თუ ორშაბათს ამინდმა ორგანიზატორებს მხოლოდ ოდნავ აურია გეგმები, ტაროსის გუშინდელი ჭირვეულობის შემდეგ ტურნირის დროულად დასრულებაც კი ლამის საეჭვო შეიქნა. სამშაბათს, წესით და რიგით, ქალთა ოთხივე ნახევარფინალისტის ვინაობა უნდა გარკვეულიყო, ამის ნაცვლად კი მსოფლიოს მესამე ჩოგანმა ჯენიფერ კაპრიატიმ რის ვაი-ვაგლახით მოახერხა მერვედფინალური მატჩის ბოლომდე მიყვანა.

კაპრიატის შეხვედრა დაკუნთულ ბერძენ ელენი დანილიდუსთან ორშაბათს მაშინ გადაიდო, ანგარიში სეტებში თანაბარი — 1:1 რომ იყო. ყოფილ უიმბლდონის სათამაშო გრაფიკში დომხალის შედეგად კორტზე მხოლოდ საღამოს ხუთ საათზე უხმეს, მაგრამ ამერიკელს ამინდი აშკარად დასცინოდა — კაპრიატის კორტზე გამოჩენა და თავსხმა წვიმა ერთი იყო.

ჩოგბურთელთა კ[illegible]ბით მობრუნებისას [illegible] გაბოროტებული გამომეტყველება ჰქონდა, ავტოგრაფის რამდენიმე მთხოვნელს მისი სახის დანახვისთანავე პლაკატების ხელში შეჩეჩების ყოველგვარი სურვილი გაუქრა. როგორც ნამდვილ ჩემპიონებს შეეფერებათ, ამერიკელმა მთელი ბოღმა უდანაშაულო ბერძენზე გადმოანთხია: თამაშის განახლებისას ბადესთან გასულ მეტოქეს რამდენჯერმე ისეთი ძალით მიუბრუნა ბურთი, თითქოს ქულის მოგება კი არა, მეტოქის გახვრეტა უნდოდა, დანილიდუს გაკვირვებულ გამოხედვას, აბა, მე რა დამიშავებიაო, კაპრიატიში სინდისის ქენჯნა ნაღდად არ გამოუწვევია 6:1, 3:6, 6:1.

„ასეთი ამინდი გუნებას ვის არ გაუფუჭებდა, თუმცა იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ, როგორც იქნა, მატჩი დავასრულეთ, თან ჩემს სასარგებლოდ. ჩემს იმიჯზე საერთოდ არ ვღელავ, კარგა ხანია, მივხვდი, რომ როგორც არ უნდა მოვიქცე, პრესა და ხალხი ამას მაინც ისე აღიქვამს, როგორც თავად სურს" — განაცხადა შედარებით დამშვიდებულმა ამერიკელმა.

ერთ ჟურნალისტს იმის გამბედაობაც კი ეყო, ჯენისთვის ეკითხა, ქსავიე მალისთან ერთად ყოფნის დროს ორივენი საშინლად თამაშობდით, ეს სიყვარულის ბრალი იყო და უკეთესი შედეგების მისაღწევად დაშორება გჭირდებოდათო? ამერიკელის მხრიდან სახეში შემოლაწუნების ან თავხედის გარეთ გაგდების მოთხოვნის მოლოდინში შემკითხველი თანაგრძნობით შევათვალიერე, მაგრამ კაპრიატიმ მხოლოდ თვალების დაბრიალება იკმარა, ცოტა დაფიქრდა და თითქმის წყნარად მიუგო: „ამაზე კომენტარის გაკეთება არ მსურს, უკვე წარსული ისტორიაა. მარტო იმას ვიტყვი, რომ მიხარია მისი წარმატების ამბავი".

21 წლის მალისმა ყოფილ გულის მურაზზე ორიოდ საათით ადრე კარიერაში პირველად გააღწია დიდი სლემის ტურნირის მეოთხედფინალში, რითაც ცენტრალურ კორტზე შეკრებილ 14 ათას გულშემატკივარს გული სასტიკად დაწყვიტა — ნიჭიერი, მაგრამ არანაკლებ ზარმაცი ბელგიელის მსხვერპლი ინგლისის მეორე ჩოგანი გრეგ რუზეცკი შეიქნა.

კაპრიატის შეხვედრის არ იყოს, რუზეცკი — მალისის მატჩიც სწორედ გადამწყვეტი ხელის წინ იყო შეწყვეტილი და ანგარიში აქაც თანაბარი იყო. თამაშის განახლებისას უპირატესობა ჯერ ინგლისელს ჰქონდა, მაგრამ მეტოქისთვის მოწოდებისართმევის რამდენიმე შესაძლებლობა ვერ გამოიყენა, მერე ბრეიკ-პოინტზე ბადესთან ისეთი უხეში შეცდომა დაუშვა, ბრმასაც შერცხვებოდა და საბოლოოდ მეოთხედფინალის საგზური მეტოქეს გადაულოცა — 3:6, 6:3, 3:6, 6:3, 6:4.

„ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ჯენიფერთან დაშორების შემდეგ 2000 წლის მიწურულს ვარჯიშს მოვუმატე. წინა ორი სეზონი საკუთარი სისულელით ქარს გავატანე, ასე რომ, დროის დაკარგვა აღარ მინდოდა. ჩემი ახალი მწვრთნელი კრეიგი გაცილებით მომთხოვნია და მოშვების საშუალებას არ მაძლევს. ადრე ის მარტო ქალებს ავარჯიშებდა, ჩემთან მუშაობაზე, ალბათ, იმიტომ დათანხმდა, კიკინა რომ მაქვს" — გაიხუმრა ბოლოს ბელგიელმა, რომლის საუბრის მოსმენისას ძალაუნებურად ეჭვი გაგიჩნდება, ეს-ესაა, გასახდელში მარიხუანას ან ჰაშიშს ხომ არ გაუსინჯა გემოო.

ბოლოს ისიც დავუმატოთ, რომ დღის პირველ შეხვედრაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ვინუს უილიამსმა ელენა ლიხოვცევა გაანადგურა 6:2, 6:0.

#### ვაჟები

**მეოთხე წრე**

**ქსავიე მალისი (27, ბელგია) — გრეგ რუზეცკი (23, ბრიტანეთი) 3:6, 6:3, 3:6, 6:3, 6:4**

#### ქალები

**მეოთხე წრე**

**ჯენიფერ კაპრიატი (3, აშშ) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:1, 3:6, 6:1**

**მეოთხედფინალი**

**ჟუსტინ ენენი (6, ბელგია) — მონიკა სელეში (4, აშშ) 7:5, 7:6 (7:4); ვინუს უილიამსი (1, აშშ) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:2, 6:0**



REUTERS უიმბლდონიდან

# ტერასებზე

უიმბლდონის ტერასები არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე კორტი. ბრიტთა მთავარი იმედის, ტიმ ჰენმანის ცოლი ლუსი კარგ ხასიათზეა, წუთის წინ ტიმმა როგორც იქნა მოგუდა შვეიცარიელი მიშელ კრატოხვილი. დები უილიამსების დედა, ორასენ ბიცოლა კი გულმშვიდად უცქერს, როგორ ანადგურებს ვინუსი მორიგ მსხვერპლს.



REUTERS უიმბლდონიდან

# გადარჩა

ალგესირას კორიდა და გამხეცებული ხარი. მატადორ ფრან რივერა ორდონიესს ღმერთმა უშველა: ხარმა მხოლოდ მსუბუქად გაკაწრა და მერე მაინც მისი არჩივი გახდა.





REUTERS ლოს ანჯელესიდან

# გზა შინისკენ

ასე ბრუნდება ბრაზილიის ნაკრები შინ. ტოკიო-ლოს ანჯელესი-რიო დე ჟანეირო. გრძელ რეისებს გართობაც უხდება. რონალდინიო დოლსა სცემს, ბიჭები კი ლაღობენ. სალონი ტელე და ფოტოკამერიანი ხალხითაა სავსე. მთავარი გმირი კი ცოლთან ერთად მიმჯდარა კუთხეში და წაძინებას ცდილობს. რონალდო დაღლილია, მილენა კი თითქოს მოწყენილიათ.



REUTERS ლოს ანჯელესიდან



# დუგლასიანთ მინდორზე

დიდი საგოლფო გართობა მოუწყვია კალიფორნიაში კინოვარსკვლავსა და პროდიუსერს მაიკლ დუგლასს. საქველმოქმედო ტურნირზე ბევრი განთქმული ადამიანიც მიუწვევია და მათ შორის, აუცილებლად, უკვდავი და მაგარი მამა კირკ დუგლასიც, რომელმაც უკვე მეცხრე ათწლეული დაახურდავა და ახლა მაიკლის ახალგაზრდა მეუღლეს, ასევე კინოვარსკვლავ კატრინ ზეტა ჯონსს თავისი სანაქებო ყვანჯის შესახებ უამბობს.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge